

54

140



85

ქოქიძისი გოგონს აწვი
ბიჭუნა ბუნა, ჯოტუნუნს
პესიქუნუნს ბუნაუნუნს
უნ იქ სიქიუნუნს სოქიუნუნს, ჯუნ
ქუნტოქიუნუნს ბუნაუნუნს.

ქოქიძისი

1964
5357

საბავშვო ალქა ცენტრალური
ქოქიძისი და ვ. ი. ლენინის
სახელობის სოკო პიონერთა ოკგანოქიუნუნს
კავსულობური საბავშვო სოქოქიუნუნს
საბავშვო შუნუნს

3.1.1964

ჩემს ეზოშიაზ გედი



ვალის გემპით



მუსიკა
ნუნუ გაბუნიასი




ლექსი



ბერდია ბერიაშვილისა



მალად მთებს დაშქრავ თოვლიანს,
ნორჩი, ახალი წელი.—
კარგი მარხილი გქონია,
გზა არ გაშინებს ვრცელი.
თავზე ფიფქები გვაცვივა,
თუ ფქვილი დაგვაცერი.



შენს მოსვლას ვინ არ გაიგებს,
ხარობს მთა-ბარი მთელი.
თეთრი ნოხები დაგიგე,—
ჩემს ეზოშიაზ გელი.
თუმცა სტუმარი ერთი ხარ,—
ბევრი გყავს მასპინძელი.



საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი
ქართული ეზოშიაზ გედი
 ნუნუ გაბუნიასი
 მუსიკა
 ლექსი
 ბერდია ბერიაშვილისა

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი
 საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის
 სახელმწიფო გამომცემლობის
 გამომცემლობის სახელმწიფო გამომცემლობის
 გამომცემლობის სახელმწიფო გამომცემლობის



სიხარულის აჰოჰ

იორაჲ ქვერგალიძე

თეთრი ფიფქები მოდის,
დაფარა მთა და ველი;
— პიონერებო, სწორდით! —
ამბობს ახალი წელი.

კარი რკინისა! პერი!
ახალი თოვლი მოაქვს, —
მოდის ახალი წელი
და სიხარულის დროა.

თოვლი, თოვლი და თოვლი...
სულ ბედნიერად გევლოს!
გახურებულა დოლი, —
— მზად ვართ, ახალთ წელთ!

წიგნებიც მოაქვს მრავლად,
ახალი, — განა ძველი;
— სწავლა, სწავლა და სწავლა! —
ამბობს ახალი წელი.



ვეთერან ვ. ვ. ჯუკოვი
საბჭოთა კავშირის სახალხო არტიტი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

თქვენს საინტერესო კითხვარზე შეძლებისდაგვარად გპასუხობთ.

1. ჩემი დიდი ოცნება იყო გავმხდარიყავი მომღერალი.
2. ბავშვობაში გატაცებული ვიყავი უკვდავი „ვეფხისტყაოსნით“.

განსაკუთრებით მიყვარდნენ ავთანდილი და ტარიელი. ერთის — მიჯნურობა და თავდადება მომწონდა, ხოლო მეორესი — გონებამახვილობა და ვაუკაცობა. ჩემი სიყვარული იბღლიანი აღმოჩნდა. ქართული ოპერის სცენაზე დაიდგა შ. მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა“ — ავთანდილობა მე მხვდა წილად. ასე ბედნიერი არასდროს არ ვყოფილვარ. ეს

Handwritten signature

1. პატარაობაში ვოცნებობდი გავმხდარიყავი ექიმი — ქირურგი; ჩემი ოცნება აღსრულდა.
2. ჩემი საყვარელი გმირი პატარაობაში იყო არსენა. მხიბლავდა მისი დამოკიდებულება ღარიბი ხალხის მიმართ.
3. ჟურნალის მკითხველებს ვურჩევდი გერმანული და ინგლისური ენების ცოდნას, რადგან ეს ენები ყველაზე მეტად არის მიღებული მსოფლიოში.
4. კაცობრიობის ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია გულმკერდის ქირურგიის განვითარება და, განსაკუთრებით, მიღწევები გულის ქირურგიაში.
5. ბავშვობაში განსაკუთრებით მიყვარდა ნ. ბარათაშვილის ლექსი „მერანი“. ამჟამად ყველაზე უფრო მომწონს ა. ტვარდოვსკის „За далью даль“.

Handwritten signature



ნიკოლოზ ანთელავა
სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის
ლაურეატი

ვინაიდან ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასნი არიან ბავშვები, ახალგაზრდა თაობა, — ხოლო ჟურნალი «პიონერი» მათ აღზრდას ემსახურება, — შეძლებისდაგვარად სიამოვნებით ვპასუხობ თქვენს მიერ დასმულ კითხვებზე.

1. როცა ათი წლის გავხდი, მამაჩემმა დაბადების დღეს მაჩუქა თეატრი; ერთ ღამეში, ჩვენი ბინის სადარბაზო ოთახში, ააშენეს პატარა სცენა, — მთელი თავისი მოწყობილობით: წინა ფარდით, დეკორაციით, განათებით და სხვა... აქედან ვასკენი, რომ ალბათ ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი „თამაშისა“.
ამ სცენაზე, ჩემს ტოლ-ამხანაგებთან ერთად, ვდგამდი წარმოდგენებს. პიესების სიუჟეტს თვითონვე ვთხზავდით. როგორც ხედავთ, ეს ბავშვობის თამაშობანა დამთავრდა იმით, რომ გავხდი მსახიობი.

2. არ მახსოვს ვინ იყო ჩემი საყვარელი ისტორიული ან ლიტერატურული გმირი, ხოლო ჩემს მიერ დადგმულ წარმოდგენებში ვთამაშობდი გმირ ბიჭებს, რომლებიც ამარცხებდნენ დევებსა და ვეშაპებს; მოწაფეობის დროს მიტაცებდნენ ისევ გმირი ვაჟები — ვაჟაფშაველას გმირები, შექსპირის გმირები, ანტიკური ტრაგედიების გმირები, — ყველა ისინი, ვინც იბრძოდა და საწაღელს აღწევდა.

3. რაც უფრო ბევრ ენას ეუფლები, მით უფრო მაღალია შენი კულტურა, მით უფრო მდიდარია სულიერი სამყარო — ეს ხომ ცხადია. ჩვენი დღევანდელი დღე ხასიათდება იმითაც, რომ კავშირი უცხო ქვეყნებთან უფრო და უფრო იზრდება, ამიტომ უცხო ენის ცოდნა აუცილებელია; ვფიქრობ, ინგლისური ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში.

4. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება, ტექნიკა გასაოცარი სისწრაფით ვითარდება. ადამიანის ჭკუამ, გონებამ, ნებისყოფამ, გამძლეობამ მიაღწია ჯერ არნახულ, არგაგონილ შედეგებს; ხოლო მე კაცობრიობის ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია მშვიდობის ბანაკის დღითი-დღე ზრდა; შორს არ არის ის დღე, როცა რეაქციული ძალა საბოლოოდ იქნება დამარცხებული, და დადგება საყოველთაო ბედნიერებისა და მშვიდობის ხანა.

5. ახალგაზრდობისას გატაცებული ვიყავი ჩემი დროის ახალგაზრდა პოეტების ლექსებით. ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, — ესენი იყვნენ ჩემი საყვარელი პოეტები; მათ ლექსებს ვკითხულობდი საჯაროდ; ყველაზე უფრო კი ბესიკი მნიბლავდა. ხოლო ახლა გაცილებით მეტნი არიან პოეტები, რომელთა ცალკეული ლექსი მიყვარს; ქართველი პოეტების თხზულებანი ხომ განთქმულია; ჩვენი პოეზია მაღალია, მდიდარი და მრავალფეროვანი. ლექსი აკეთილშობილებს ადამიანს, აღძრავს მასში შესანიშნავ გრძნობებს, უწვითარებს გემოვნებას, სილამაზის შეგრძნებას. გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ლადო ასათიანი, ანა კალანდაძე და ბევრი სხვა, მათთან — ახალგაზრდობა, რომელიც მოზღვავდა ჩვენს მწერლობაში! ვერ ავირჩევ ერთს, ვინაიდან მსახიობი ვარ, ახლო ვარ პოეზიასთან და, რაც მთავარია, მნიბლავს ყოველი ახალი, რაც დღევანდელობაზე მღერის, დღევანდელ დღეზე მოგვითხრობს.

6. მე მგონია, რომ ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე ცხოველმყოფელი თემა ახალგაზრდობისათვის არის სიყვარულის, ერთგულების თემა. გიყვარს შენი სამშობლო, შენი ხალხი და — შენს ცხოვრებას უკვე აქვს დიდი მიზანი; გიყვარს შენი ახლობელი, მეგობარი და — არასოდეს არ იგრძნობ მარტოობას. დიდ სიყვარულს ზნეობრივი სიფაქიზე მოსდევს, მოვალეობის გრძნობა ვითარდება, ადამიანი — კეთილშობილი, მოსიყვარულე, დიდგულოვანი და მაღალი მორალის ხდება.



მედიკოს ანჟა ფაკიძე
სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი

ვიხივს ამ ვახს



გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი განზრახვა მეტად კეთილშობილურ მიზანს ისახავს; ერთი წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ორიოდ სიტყვით უპასუხებ შეკითხვებს, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი საქმეა.

პირველ შეკითხვაზე მე მინდა აღვნიშნო ოჯახის, განსაკუთრებით, მშობლების როლი ბავშვის აღზრდის საქმეში. მხატვრობის სიყვარული ჩემი თანდაყოლილი თვისებაა, რასაც ჩვენს ოჯახში განსაკუთრებით ხელი შეუწყო ჩემმა დედამ. ჩემი სახლის კედლები სავსე იყო სხვადასხვა მხატვართა ნახატებით, რეპროდუქციებით; მათ შორის იყო, როგორც კომპოზიციური ხა-

მოქანდაკეები; ესენი იყვნენ: ლეონარდო და ვინჩი, ტიციანი, მიქელ-ანჯელო და სხვანი, ამათ შორის მოკრძალებული, თავმდაბალი, ქართული ფრესკის დამწერლები, რომლებიც თავის გვარსაც კი არ აწერდნენ თავიანთ ნაწარმოებებს; საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლებმა დამარწმუნა, თუ რაოდენ დიდი და მრავალფეროვანი ყოფილა ჩვენი კედლის მხატვრობის ტრადიციები. აი, რამ განსაზღვრა ჩემი შემოქმედების ხასიათი.

მე ჩემი ბავშვობის ოცნებას კი მივალწიე, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რაოდენ რთული გზა განვვლეთ ამის განსახორციელებლად.

მეორე კითხვაზე მე მსურს ასე გიპასუხოთ: ჩემი საყვარელი ისტორიული პიროვნება იყო გიორგი სააკაძე.

ლიტერატურული გმირი— ე. ნინოშვილის ქრისტიანი, რომლის პორტრეტი მე დავხატე 1917 წელს. ეს პორტრეტი საზოგადოებრიობამ ძალიან მოიწონა.

მესამე კითხვაზე ასეთია ჩემი პასუხი: რა თქმა უნდა, დღეს ჰარმონიულად უნდა იყოს განვითარებული ყოველი ჩვენგანი. უალრესად პროგრესულ ეპოქაში, აბა როგორ შეიძლება ადამიანი არ იყოს დღევანდელი რთული და საინტერესო მოვლენების კურსში არის შემთხვევა, როცა ადამიანს შემორჩება მხოლოდ ერთი, ისიც მშობლიური ენის ცოდნა. განა ამ მარაგით შეიძლება ადევნოს თვალი მსოფლიოში მიმდინარე გარდაქმნების დიდ პროცესებს? ამიტომ, ერთი ენის მფლობელი ვერას გახდება, დარჩება მხოლოდ სხვისი შემაცქერალი და უსუსური მოწამე დღევანდელი დიდი ძვრებისა. ჩვენში შექმნილია ყველა პირობა, რათა ჩვენმა ნორჩმა თაობამ შეისწავლოს, გარდა ქართული და რუსული ენებისა, რამდენიმე უცხო ენაც.


მეოთხე. დედამიწის ყოველი მკვიდრი მოწამეა, თუ რა დიდ განვითარებას მიაღწია თანამედროვე მეცნიერებას და ტექნიკამ. გარდა ამისა, ადამიანის შეგნებაში არის ერთი საწყისი, ეს — ადამიანთა შორის ძმობის, მეგობრობის და სიყვარულის დამკვიდრებაა, რაც კომუნისტური მსოფლმხედველობის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მეხუთე. რა თქმა უნდა, მეც მიყვარდა და მიყვარს ქართული პოეზიის კორაფეები, მათ შორის — ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა. მაგრამ ბავშვობაში განსაკუთრებით გულში ჩამწვდა გ. ჯალაღიდელის ლექსი „მახსოვს, პირველად სასწავლებელში“.

მოგვიანებით კი ძალზე მალეღებდა ნ. ბარათაშვილის „სულო ბოროტო“. დღესაც ჩემს შემოქმედებას თავს დასტრიალებს ნიკოლოზის „მერანია“.

მეექვსე. საბჭოთა მოზარდ თაობას მე ვუსურვებდი, — იყოს თავდადებული შრომაში, გულწრფელი, სვინდისიერი და მოყვარული, ისწრაფოდეს კულტურის მაღალი მწვერვალების დაუფლებისათვის, რათა გახდეს დიადი კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე.

საქართველო



დავით გუდიაშვილი
რესპუბლიკის სახალხო მხატვარი

სიათის სურათები, ასევე პეიზაჟები და ნატურმორტები. აქვე იყო რეპროდუქცია ზიჩის სურათისა: „რუსთაველი მხარტმეფეს თამარ მეფეს „ვეფხისტყაოსანს“, დიდი ქართველი მწერლების პორტრეტები და სხვა. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ იმ დროს ცნობილი მოღვაწეები — მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მხატვრები: მოსე თოიძე, ზომერი და სხვანი. ზომერმა დედამ ჩემს უთხრა, რომ მე მაქვს მხატვრობის ნიჭი, რაც საჭიროებს ხელის შეწყობას. როგორც ხედავთ, ჩემი ოცნება და დედის წადილი ერთმანეთს დაემთხვა და ჩემმა დიდმა სიყვარულმა მხატვრობისადმი, ოცნება ამიხდინა, რისი ინიციატივა, უმთავრესად, ჩემს დედას ეკუთვნის.

ჩემში შებრძოლების სურვილს და უსაზღვრი თავყანისცემას იწვევდნენ აღორძინების ხანის მხატვრები და

1. ჩემი ოცნება იყო — გავმხდარიყავი ისეთი კაცი, როგორც იყვნენ შეცხრამეტე საუკუნის და მეოცე საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი: ილია, აკაკი, ი. გოგებაშვილი, ლ. ზოცვაძე (ჩემი მასწავლებელი), რათა მეც მათსავით მეშრომა და მეზრუნა ჩემი ქვეყნისა და ხალხისათვის.

2. არსენა. (მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენს...).

დავით აღმაშენებელი (განდევნა არაბები, გაანთავისუფლა სამშობლო, ალაგმა ფეოდალები, ააშენა ქვეყანა).

3. ერთ-ერთს, ან შეძლებიხამებრ, რამდენიმეს (ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს...).

„ერთი ენა იცი, — ერთი კაცი ხარ, ორი ენა იცი, — სამი კაცი ხარ, მეტი იცი და — ბევრი ხარო“ — გამიგონია ხალხში.

4. ევოლუციური მოძღვრების აღმოჩენა, დადგენა და დამკვიდრება.

5. ვუას ლექსები: „არწივი“ (არწივი ვნახე დაჭრილი...), „უნუ-გეშო ყოფნა“ (იას, ბნელ ხევში მოხუღსა...), „მოლოდინი“ (მცირე რამ ნისლის ნაწყვეტი...). პირველ ორში საქართველოს ვხედავდი, მე-სამისა — მუსიკალობა მომწონდა.

ილიას — „იანიჩარი“ (შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალებსა...).

ახლა — გალაკტიონის „ნიკორწმინდა“.

6. ახალს? ძველს, მაგრამ მარად ახალს, უნდა ჭერ მოვლა: პატრიონება, შრომის სიყვარული, ხალხისა და სამშობლოს სიყვარული, სხვისი უფლების პატივისცემა, უკეთესისაკენ სწრაფვა... რადეხაც ახალგაზრდობა ამ იდეებით გაიზრდება, ახალს თვითონ იპოვის.

ქეთევანი



ნიკო კაცხოვანი
აკადემიკოსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

1. საყვარელო ბავშვებო, ბევრი თქვენგანით მეც მეოცნებე ვიყავი. რაზე არ ვოცნებობდი! ჩემი ყველა ოცნების დედაბოძი თავიდანვე იყო მუსიკა. გავიგონებდი კარგ მელოდიას — გული იწყებდა სიმღერას. ბავშვური ალტკინებით მიწოდდა, ოდესმე მანც ჩემი გულის სიმღერა მეთქვა ხმამაღლა, სხვების გასაგონად და ყველას, ვინც გაიგონებდა, გულში ჩაწვდომოდა მისი პანგები.

ამინდა ეს ოცნება?

2. ახლა არ მაგონდება, ვინ გადამიშალა პირველად საქართველოს ისტორია, ვინ მითხრა, — შენს ქვეყანას დიდი და საინტერესო წარსული აქვს, — თუ კი რაიმეს გაკეთება გსურს, კარგად უნდა იცოდდე ეს წარსული, ჯერ შენი გიყვარდეს და მერე შესძლებს სხვის სიყვარულს. იქნებ სიტყვები იყო ის მარცვალი, ჩემში რომ აღმოაცენა ის დიდი გრძნობა, რამაც შემაყვარა ჩემი ქვეყნის ისტორია, შემაყვარა ადამიანები, რომლებსაც უყვარდათ ჩემი სამშობლო. განსაკუთრებით ვეთაყვანებოდი იმას, ვინც თავდადებით გამოირჩეოდა... ამ მრავალ სახელოვან ადამიანთაგან

ჩემს სათაყვანო პიროვნებად მაინც პატარა კახი დარჩა.

ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირები იყვნენ ფენიმონ კუპრისა და თეოდორ ვერნის კეთილშობილი გმირები.

3. დიდი ბედნიერებაა ბაირონსა და შექსპირს კითხულობდე ინგლისურად, შილერსა და გოეთეს — გერმანულად, ბალზაკს — ფრანგულად! თქვენ შესძლებთ ამას, ბავშვებო, თუ კი მოინდომებთ.


4. კოსმოსში გაფრენის შემდეგ, მე უპირატესობას კინერნეტიკას ვაძლევ.

5. ჩემი საყვარელი ლექსები იყო რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და დუტუ მეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ“.

ჩემი საყვარელი პოეტი იყო და არის გალაკტიონი.

6. ამჟამად თქვენი ეურნალისათვის რჩევის მიცემა ძალიან შეძნელება, ამას ფიჭვი და აწონ-დაწონა სჭირდება, ეს შემდეგისათვის იყოს.

ისე კი, ბავშვებო, მე მინდა თქვენ საფუძვლიანად შეისწავლოთ მშობლიური მუსიკა. ეს საჭიროა, ეს თქვენ მო-



კვიციანი ლადიმე
კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი

განიჭებთ უდიდეს სულიერ სიამოვნებას და, რაც მთავარია, დაგეხმარებათ — არ მოექცეთ ჯაზური და სხვა საწლვარ-გარეთული იაფფასიანი მუსიკის გავლენის ქვეშ.

ლ. კვიციანი



დიდი ფიქრი დამჭირდა ამ ფრიად მნიშვნელოვან კითხველზე პასუხის გასაცემად, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მათგანი ენება ჩემს შორეულ ბავშვობას.



გიორგი ლეჟავა
არქიტექტორი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

1. ბავშვობიდანვე მიყვარდა ხატვა და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე შევედი. ამრიგად, მე ამიხნა ჩემი ნატვრა.
2. ა. წერეთლის პოემის გმირი — თორნიკე ერისთავი.
თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი.
3. ინგლისური ენის დაუფლებას ვურჩევ ახალგაზრდებს.
4. კაცობრიობის ყველაზე დიდ მოღწევად მიმაჩნია კიბერნეტიკა, ხოლო უფრო დიდი მოღწევა იქნება საყოველთაო მშვიდობის დამყარება.
5. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა და ზეპირად ვიცოდი ა. წერეთლის პოემა „ოთხი მესხი და ადამ ბებურიშვილი“.
- ახლა განსაკუთრებით მიყვარს ა. ტვარდოვსკის ლექსები.
6. ჩემი აზრით, უფრო ფართო პროპაგანდა უნდა გაეწიოს ხელოვნებას. ხელოვნება აკეთილშობილებს აღაშინებს, ამაღლებს მის შემოქმედებით უნარს, რა პროფესიისაც არ უნდა იყოს იგი.

Handwritten signature of Giorgi Lejava


1. ბავშვობაში მე ვოცნებობდი გავმხდარიყავი კარგი მხედართმთავარი, — გიორგი სააკაძის მსგავსი, რათა დამეცვა სამშობლო გარეშე მტრებისაგან. შემდეგ კი, როდესაც მეცნიერების მიღწევებს გავეცანი, — ვოცნებობდი გავმხდარიყავი გამოჩენილი ასტრონომი ან ფიზიკოსი. მეცნიერების ეს ორი დარგი ყველაზე მეტად მიტაცებდა. ამ დროს მე და ჩემმა ძმამ შევიძინეთ პატარა ტელესკოპი (რომელიც ახლაც შენახული გვაქვს) და ვაწარმოებდით დაკვირვებებს ციურ მნათობებზე.

2. ბავშვობის დროს ჩემი ყველაზე საყვარელი ისტორიული პიროვნება იყო გიორგი სააკაძე. შეიძლება ეს სიყვარული გამოწვეული იყო იმით, რომ ადრე გავეცანი საქართველოს ისტორიას და, განსაკუთრებით, ანტონ ფურცელაძის შესანიშნავ წიგნს გიორგი სააკაძის შესახებ.

ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი ბავშვობაში იყო ფ. კუპერის რომანების გმირი, ცნობილი სხვადასხვა სახელით: ტყავის წინდა, კვალის მაძიებელი და სხვა. მისი ბავშვური ხასიათი, გამბედაობა, რაინდობა და ინდიელი ხალხისადმი სიყვარული ყოველთვის მიტაცებდა.

3. ცხადია, რომ რუსული და მშობლიური ენის ცოდნის გარდა, აუცილებლად საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა, ვინაიდან ეს ენა ერთ-ერთი უმდიდრესი ენაა მსოფლიოში. განსაკუთრებით საჭიროა იგი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის დასაუფლებლად.

4. კაცობრიობის ყველაზე დიდ მოღწევად მე მიმაჩნია ის მეცნიერული რევოლუცია, რომელიც დაიწყო ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ და, რომელიც ახლაც გრძელდება. ეს რევოლუცია, გამოხატული მათემატიკურ და ფიზიკურ მეცნიერებათა უმაგალითოდ სწრაფ განვითარებაში, მათ შეჭრაში თითქმის ყველა სხვა მეცნიერებაში, იმის საწინდარია, რომ ყველა დანარჩენი მეცნიერება, განსაკუთრებით, სიცოცხლის პროცესების შემსწავლენი, ძალიან სწრაფად განვითარდებიან და სრულიად გარდაიქმნებიან ზუსტ ფიზიკა-მათემატიკურ საფუძველზე. ეს რევოლუცია მიმდინარეობს მეცნიერებათა სიღრმეში და, შეიძლება, ისეთ უშუალო და ცხად შთაბეჭდილებას არ ახდენს, როგორც კოსმოსის დაპყრობა.



მათე მირიანაშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქ. მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი

5. სამწუხაროდ, ჩემთვის ძნელია დავასახელო რომელიმე ლექსი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარდა ბავშვობაში. შეიძლება ეს ჩემი აღზრდის ნაკლია, მაგრამ რატომღაც ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი პოეზიას და ამიტომ ვერ მოგვიმთხამა დამაკმაყოფილებელ პასუხს თქვენს კითხვაზე.

Handwritten signature of Mate Mirianashvili

1. პატარაობისას ვიცნობდით გავმხდარიყავი სახელოვანი მეზღვაური—დიდი, შორხმცურავი საოკეანო გემის კაპიტანი. ამ მიზნით, მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა, 1930 წელს შევედი ფოთის საზღვაო ტექნიკუმში, რომელიც წარმატებით დავამთავრე 1938 წელს და მუშაობა დავიწყე შავი ზღვის აუზში მოცურავე უდიდეს გემებზე. თითქოს მიზანთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ხელი შემიშალა ერთმა გარემოებამ.

ბავშვობისას, ზღვასთან ერთად გატაცებით მიყვარდა ფეხბურთის თამაში. 17 წლისა რომ ვიყავი, ქალაქ ფოთში ვითვლებოდი ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად, ვთამაშობდი ამ ქალაქის ნაკრები გუნდის ძირითად შემადგენლობაში, რომელიც იმ დროს (1938-34 წლები) უძლიერეს გუნდად ითვლებოდა საქართველოში.

საზღვაო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ თავი დავანებე ფეხბურთის თამაშს და მუშაობა დავიწყე გემზე. ერთი წლის შემდეგ დამაწინაურეს და გადამიყვანეს გემ „მეტალისტზე“, რომელსაც გეზი ლონდონისკენ უნდა აეღო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მაგრამ ამ დროს ქალაქ ტუაფსეში, სადაც მე ვიმყოფებოდი, მივიღე დედის დეპეშა; დედაჩემი მთხოვდა—ფოთში ჩავსულიყავი სასწრაფოდ, მამაჩემის ავადმყოფობის გამო. მე, რა თქმა უნდა, პირველივე სამგზარო გემით წამოვედი ფოთში... ყველა ჩვენიანი, მათ შორის მამაჩემიც, კარგად დამხვდა... თურმე ოინი მიყვეს; თბილისში, ნეიტრალურ მიწა-



გ. კ. ხაჩიანი
სპორტის დამსახურებული ოსტატი

რზე, ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ბათუმისა და ფოთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები,—საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილის დასაკავებლად. ეს დეპეშა, ფოთში ჩემი ჩატყუების მიზნით გამოეგზავნათ ჩემს თანაგუნდელებს. რა თქმა უნდა, მე უარი ვერ ვუთხარი ჩვენს ბიჭებს და სათამაშოდ თბილისში წამოვეყვი. მატჩი შედგა ლენინის სახელობის სტადიონზე. თამაში მოვიგეთ ჩვენ—ფოთელებმა, ანგარიშით 2:1 (მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის უვარჯიშებელი ვიყავი, ორივე ბურთი მე გავიტანე).

ამის შემდეგ, მშობლების, ჩემი მეგობრებისა და ფეხბურთის თბი-

ლისელი სპეციალისტების დაუინებელი თხოვნით, მე დავრჩი თბილისში...

მართალია, ჩემი ოცნება—გავმხდარიყავი გემის კაპიტანი—არ ასრულდა, მაგრამ, სამაგიეროდ, 12 წელიწადს ვიყავი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის—თბილისის „დინამოს“ კაპიტანი.

2. ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე.

ბაში-აჩუკი, ბესია (ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“).

3. ბავშვებს ვურჩევ ინგლისური ენის შესწავლას.

4. გულის ქირურგია, ტელევიზია, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის ბრძოლა.

5. არსენას ლექსი (არსენას მიბადვით, ბავშვობისას ვთამაშობდით ყაჩაღობანას. ამ თამაშის დროს გამომიმუშავდა გამბედაობა, სისწრაფე, მოსაზრებულობა და სხვა თვისებები, რომლებიც დიდად დამეხმარნენ ფეხბურთში).

გ. ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო“.

6. ვინაიდან ყველა პროფესიის ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს, ვისურვებდი—უურნალმა ამ საკითხზეც გაამახვილოს ყურადღება, ფართოდ გააშუქოს და შეაყვაროს ბავშვებს სპორტი.

გ. ხაჩიანი



ი. ს. ხვიაანი
ასოთამწყობი

1. 7-8 წლის ვიქნებოდი, როცა პირველად ვნახე წიგნი. პატარა სოფლელი ბიჭი,—ძალიან დავინტერესდი ბეჭდვის საიდუმლოებით. გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, შემესწავლა ეს საქმე; ეს იყო ჩემი ოცნება!

შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე პოლიგრაფიულ ტექნიკუმში, შევისწავლე ასოთამწყობობა. გმუშაობდი „კომუნისტის“ სტამბაში. 1936 წლიდან კი გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ დამკაბადონებლად ვმუშაობ. ჩემი ბავშვობის ოცნება ამხიდა!

2. ბავშვობაში განსაკუთრებით აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკმა“ მომხიბლა; ბაში-აჩუკი იყო ჩემი საყვარელი გმირი.


ჩემი საყვარელი ისტორიული პიროვნება იყო დავით აღმაშენებელი.

3. ჩემს პატარა მეგობრებს ვურჩევ—დაეუფლონ ინგლისურ ენას.

4. მოსკოვის ხელშეკრულება—ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი აკრძალვის შესახებ.



ეროვნული
წიგნობის
კავშირები



აკაკი შანიძე

აკადემიკოსი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

1. არ მახსოვს, რომ პატარაობისას რაიმე განსაკუთრებული იდეით ვყოფილიყავი გატაცებული.
2. ბავშვობაში ჩემი საყვარელი ისტორიული პირი იყო დავით აღმაშენებელი, რომელიც იბრძოდა საქართველოს დაკარგული ნაწილების შემოერთებისათვის. მის მოღვაწეობას ვავეცანი ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“ მოთავსებული მოთხრობის საშუალებით.
3. ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა აუცილებელია. აუცილებე-

ლია აგრეთვე საფუძვლიანი ცოდნა რუსული ენისა. მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია ერთ-ერთი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნაც: ფრანგულია, გერმანულია ან ინგლისურისა. ამათგან მე უფრო ინგლისურს ვურჩევდი ბავშვებს, რადგანაც იგი ყველაზე უფრო გავრცელებულია დედამიწაზე და ამ ენაზე დიდძალი ლიტერატურა იბეჭდება (მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური თუ სხვა).

4. კოსმოსში გაფრენის გარდა, ადამიანის გონებრივი შემოქმედების ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია სწრაფი გამოსათვლელი მანქანების გამოგონება და მათი გამოყენება ადამიანის შრომის შესამსუბუქებლად.

5. ბავშვობაში ძალიან მომწონდა რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, ახლა კი ჩემი საყვარელი საკითხავი წიგნია „ვეფხისტყაოსანი“.

6. სასურველია ჟურნალში მეცნიერების მიღწევათა მიწოდება ბავშვთათვის გასაგები ენით, აგრეთვე საჭიროა ყურადღების გამახვილება ჩვენი ქვეყნის წარსულის ამბებსა და დღევანდელ ვითარებაზე.

ა. შანიძე

5. ჩემი ბავშვობა არ გავდა ჩემი პატარა მეგობრების, — პიონერების დღევანდელ ბედნიერ ბავშვობას. ამიტომ, თუ კი სადმე მოვახელთებდი და წავიკითხავდი ლექსს ან მოთხრობას, რომელშიც აღწერილი იქნებოდა დაჩაგრული ადამიანის ცხოვრება, — ასეთი ნაწარმოები გულს შიჩუყებდა და იმედით მავსებდა. განსაკუთრებით მიყვარდა გიორგი ქუჩიშვილის პოეზია, — როცა მის ლექსებს ვკითხულობდი, — შვებას ვგრძნობდი.

ამჟამად მიყვარს ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“.

6. ჟურნალი „პიონერი“ ნამდვილად კარგ, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს; მას ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში დიდი და შესანიშნავი წვლილი შეაქვს. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ თქვენი ჟურნალი, სხვა კარგ წამოწყებებთან ერთად, გაამახვილებს ყურადღებას მოსწავლეთა შორის შრომის სიყვარულის გაღვივებაზე. მე რომ შრომა არ მყვარებოდა, — ჩემი ბავშვობის ოცნება ფრთაშეუსხმელი დარჩებოდა.

ი. ყაჭუაძე

გვკახსხოვან ღვაწლმოსილი ადამიანები

1. ბავშვობიდანვე მაინტერესებდა ბუნებისმეტყველება, განსაკუთრებით — ცხოველების „ქცევაზე“ დაკვირვება. ჩემი მზრუნველობის პირველი ობიექტები იყვნენ შემთხვევით შექნილი მაჩვი და ძაღლი — „ყურზა“. კარგად მახსოვს, როგორ ვაკვირდებოდი მათ „დამეგობრებას“ და გართობას, როგორ ვცდილობდი მათი ურთიერთობის მოწესრიგებას. გულდასმით წავიკითხე ბრემის ნაშრომში („Жизнь животных“) ცნობები ცხოველების შესახებ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როცა დავინახე, როგორ ისვენებდნენ ჩემი „ალსაზრდღელები“: ყურზას მაჩვი თავის ბალიშად გამოეყენებინა და ორივენი ძილს მისცემოდნენ.

უფროს კლასებში საბუნებისმეტყველო საგნებისადმი სიყვარული გამოლივია ფიზიკის მასწავლებელმა ს. ლოლობერიძემ. მის გაკვეთილებზე ჩატარებული ცდები, თვით მასწავლებლის ქცევა, ტაქტი, დამაჯერებელი საუბარი გვხიბლავდა მოსწავლეებს. განსაკუთრებული სიამოვნე-



ნიკო ჯაშვილი

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

ბით შევხვდით საყვარელი მასწავლებლის გაკვეთილებს ქიმიკაში (ქუთაისის რეალურ სასწავლებელში იმ დროს შემოიღეს ქიმიური ანალიზის ელემენტალური კურსის სწავლება). ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცა სწორედ ამ გზით მიმელო განათლება და ამხდენოდა ოცნება.

ცხადია, ჩვენში ყოველგვარი შრომა თანაბრად საპატიოა, მაგრამ თუ



ლ. გვანდუხუაძის

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

1. ვიცნობოდი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა გამეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში. ძველ დროში ეს არც ისე ადვილი გახლდათ, განსაკუთრებით ქალისათვის, მით უმეტეს, რომ ჩემი მისწრაფება პოლიტექნიკური განათლების მიღება იყო.

დავამთავრე ლენინგრადის ქალთა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც ითვლებოდა ქალთა პირველ უმაღლეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტად; მუშაობა დავიწყე ქარხნებში, სადაც ხდებოდა უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან.

ამრიგად, გავხდი პირველი ქართველი ქალი — ინჟინერ-ქიმიკოსი. ასე განხორციელდა ჩემი ოცნება.

საშუალო სკოლაში განსაკუთრებით მიყვარდა ფიზიკა და მათემატიკა.

გხარობდი, როცა ვამართლებდი მასწავლებლის იმედებს.

2. დედა, — მ. გორკის ამავე სახელწოდების რომანიდან. ნაპოლეონ ბონაპარტი.

3. უურნალ „პიონერის“ მკითხველებს ვურჩევდი ინგლისური და ფრანგული ენების შესწავლას.

4. კაცობრიობის ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია რადიო და ტელევიზია.

5. ბავშვობაში მიყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, იოსებ დავითაშვილის „ჩეჩილი“, დუტუ მეგრელის „პატარა ქართველი“.

ახლა მიყვარს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

6. გამოვთქვამ სურვილს, რომ თქვენს უურნალში ქვეყნდებოდეს ისეთი მასალები, რომლებიც მოზარდ თაობას შთაუწერავენ სიყვარულსა და პატივისცემას სამშობლოსადმი, შრომისადმი, მშობლებსადმი, აღმზრდელებისა და ამხანაგებისადმი.

სასურველი იქნება, თუ გამოაქვეყნებთ ისეთი ხასიათის მოთხრობებს, რომლებიც ახალგაზრდობას შეაყვარებენ წიგნს და გამოუმუშავებენ სისტემატური კითხვის მოთხოვნილებას.

ლ. გვანდუხუაძე

ისეთ დარგში ვიხდებო მუშაობა, რომელიც არ მიყვარს, მაშინ შრომა, სიამოვნების ნაცვლად, შეიძლება მძიმე მოვალეობად გადაიქცეს. მინდა ვურჩიო უფროსკლასელებს, — ნუ უღალატებენ თავიანთ ოცნებას, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას მხოლოდ თავისი მისწრაფებით იხელმძღვანელონ.

2. ლიტერატურული გმირებიდან მიყვარდა დონ-კიხოტი, — მისი კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის გამო; ისტორიულ პიროვნებებიდან კი — ჯუზეპე გარბიალი.

3. მშობლიური და რუსული ენების ცოდნის გარდა, ჩვენს ახალგაზრდობას ვურჩევ ერთ-ერთი ევროპული ენის საფუძვლიან შესწავლას.

4. კაცობრიობის უდიდესი მიღწევა არის დამწერლობის შექმნა. დამწერლობის გარეშე ხომ არ გვექნებოდა მეცნიერება, ლიტერატურა.

თანამედროვე მეცნიერების მიღწევად მიმაჩნია ქიმიისა და ფიზიკის განვითარების ახალი საფეხურები — ხელოვნური მასალების შექმნა, რომელთა გამოყენება ადვილებს ადამიანის შრომას და უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლად.

5. ბავშვობაში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რ. ერისთავის ლექსმა — „სამშობლო ხევსურისა“.

ახლა განსაკუთრებით მიყვარს ლ. ასათიანის „სალადობო“.

6. ჩვენი ეპოქის ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდისათვის, სასურველია უურნალში ხშირად იბეჭდებოდეს მეცნიერულ-პოპულარული ნაწარმოებები.

ლ. გვანდუხუაძე

გვანდუხუაძის ლეონტიანის აღმშენებელი



საქართველოს
წიგნების კავშირი

31

დეკემბერი

მიხეილ ჯალილიძე

დეკემბრის ეს დღე
წელიწადივით

გრძელი იყო და
მან ბევრი ფიქრი,
ბევრი წადილი
თან წაიყოლა.

რა დამრჩა?—მინდა
საკუთარ თავდით
ვნახო მსოფლიო...

ისე, ვით შარშან,
ვარ ჩემი თავის
უკმაყოფილო.

მაინც, საოცარ
ხიდეებით საფხე,
არ ვკარგავ იმედს,
რომ ჩემს კვადს დიდი
ცხოვრების. გზაზე
შეამჩნევს ვინმე...

თენდება. ტახტზე
ადის მეფურად
სინათლე დიდის...
და მე სიტყვასთან
კვდავინდებურად
ვაგრძელებ კიდის.

დაშამ გაგვცა

მაშინ მე თერთმეტი წლის ვიყავი.

თეთრგვარდიელებმა ჩვენი ნახევრადანგრეული, გაპარტახებული სოფელი—ვოზნესენსკი დატოვეს და გაიქცნენ.

დღეა არ მახსოვს, მამა კი ჯარში იყო წასული და მისი აღარაფერი ვიცოდით. მე პაპას და ბებუას ბიძს შეძახდნენ, რადგან მათ გარდა არავინ მყავდა ქვეყანაზე.

ცივი ზამთარი იდგა. იმხელა თოვლი იყო—არც სახლები მოჩანდა, არც არყის ხეები და არც ვზები. ბებუამ ლუმელში უქანასკნელი ლერი შეშა შეუყვითა და თავი გადააქნია: — მორჩა შეშა, სიცივით დავიხოცებით.

ამ დროს პაპა შემოვიდა. ხელში ცული და ძველი, დაკერებული ტომარა ეჭირა.

— მივიღივართ ტყეში, შეშაზე, — უთხრა მან ბებუას.

მე ჩემი პატარა ცულის ძებნა დავიწყე.

— იცოდეთ, ხოხლოვის ტყეში არ შეხვდით; ამბობენ, იმ უბანში შავი ჭირი მძვინვარებსო, — თქვა ბებუამ.

ხოხლოვის ტყე სოფელს ზემო და ქვემო ნაწილად ყოფდა. მე და პაპამ, რაც ტანსაცმელი გვებადა, ჩავიცვით და ტყისკენ გავსწიეთ (პაპამ ერთადერთი ცხენი სამ ფუთ კარტოფილზე გადაცვალა, ამიტომ შეშას ზურგით ვეზიდებოდით ხოლმე).

...თოვლით დაბურულ ტყეში შევედით, ერთ გამხმარ არყის ხეს მივაღიქით და მოვჭერით.

— ეს ადგილები მდიდარ ვაჭარს — ხოხლოვს ეკუთვნის. ამბობენ, მალე ეს ტყე ყველასი იქნებაო, — მითხრა პაპამ.

— ახლა სადაა ის ხოხლოვი? — ვკითხე მე, თან ხის ჭრელ-ჭრელ ტოტებს გულმოდგინედ ვჩეხდი.

— საფრანგეთში ცხოვრობს. ამბობენ, აღარც დაბრუნდებაო.

უეცრად, მინდორზე დავინახეთ სამი მარხილი. თვითეულ მათგანზე თეთრ ზეწარში გახვეული თითო გვამი იდო. მარხილებს ხალხი შორიასლო მიჰყვებოდა...

— ჩქარა, შინისაკენ! — თქვა შემკრთალმა პაპამ. შეშა ფაციფუციტ მოვაგროვეთ, ტომარაში ჩავყარეთ და თავდაღმართზე დავეშვით. გზაზე ისევ წაეაწყდით ხალხს.

— ეს საბრალოები შეშა ჭირმა იმსხვერპლა. ახლა ისინი სადმე ხრამში უნდა დასწვან, რომ სხვებს არ გადაედოთ ეს საშინელი სენი, — აგვისნა ერთმა დედაკაცმა.

როგორც იყო, მივალწიეთ სახლს. ბებუამ მაშინვე ლუმელი გაახურა და კარტოფილი მოხარშა. მე კაპა არ მინდოდა, თავი მტკიოდა და ტანში მაქროლებდა. თვალები დავხუჭე და თავი კედელს მივაღე.

— რა მოგივიდა, ბიჭო, ცუდად ხომ არა ხარ? — შეშფოთდა პაპა.

ბებუამ შუბლზე ტუჩები მომადლო და შეჰკვივლა:

— მიშველეთ, სიცხე აქვს! მაშინვე ლოგინში ჩამაწვინეს.

— ხომ გითხარი, ხოხლოვის ტყეში არ წახვიდეთ-მეთქი! — ჯავრობდა ბებუა.

— იცოდე, დედაკაცო, ე ბავშვს რომ რამე მოუვიდეს, თავს დავიხრჩობ, — თქვა პაპამ.

— მე პირველი გადავვარდები წყალში, — ტირილით თქვა ბებუამ.

ქოხის ერთ კუთხეში ღვთისმშობლის ხატი ეკიდა. პაპა და ბებუა მთელი ღამე დაჩოქილები იყვნენ ხატის წინ და ჩემს გადარჩენას ევედრებოდნენ.

გამთენიისას უფრო ცუდად შევიქენი.

— დედაკაცო, რას იტყვი—დაშას რომ დავუძახოთ, პა?

დაშა ერთი ექიმბაში დედაკაცი იყო. სოფელში ექიმი არ გვყავდა, — გაჭირვების დროს მას გამოუძახებდნენ ხოლმე.

ბებუამ თავშალი მოიხურა და დაშასთან წავიდა. მალე დაბრუნდა, თან მსუქანი, წითელლოყება დაშა მოჰყვა. დაშას გულზე ჯვარი ეკიდა და ხელში ბალახებითა და წამლის შუშებით სავსე კალათა ეჭირა. წყლით სავსე ჯამში გამხმარი ბალახი ჩაყარა, შემდეგ ჯამი სამჯერ შემოატარა ჩემს ლოგინს და სამჯერ მომახვრებინა ბალახის მწარე წყალი.

— ბავშვს შავი ჭირი აქვს. შავი ჭირით დაავადებულები გავრილოვის სარდაფში მიჰყავთ. ასე ამბობენ, — ხმას დაუწია დაშამ, — როგორც კი მოკვდებიან, მაშინვე დასწვავენო.

— დაშა, დაშენკა, ღვთის გული-სათვის, ნურავის ეტყვი, რომ ჩვენი პავლიკა ავად არის, გემუდარები, — აქვითინდა ბებუა.

— კარგი, რა გაეწყობა. — არავის ვეტყვი.



ბებია და მას კარტოფილი ჩაუყარა წინსაფარში და გაისტუმრა.
უეცრად, ქუჩიდან ჩოჩქოლი შემოგვესმა. კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ერთი ქალი და ორი მამაკაცი შემოიჭრა. დანარჩენები შემოსასვლელში გაჩერდნენ.
— თქვენს ბიჭს შავი ჭირი ჰქონია, უნდა წავიყვანოთ. ავადმყოფებს ცალკე ვათავსებთ, — თქვა ქალმა.

ღანიბა გამოგზავნა

სიხინო მასკიაშვილი

ნახატები რევაზ ცუცქერიძისა

— დაშამ გაგვცა! — დაიძახა გაფითრებულმა პაპამ.
— ჩემი ბიჭი თუ სასიკვდილოა, დაე ჩემს ქონში მოკვდეს. ცოცხალი თავით არ დაგანებებთ! — მტკიცედ წარმოსთქვა ბებია და ზერ გადამეფარა.
— შენ გინდა, სხვებსაც გადაედოს ეს საშინელი სენი? უპ, შე გამოჩერჩეტებულო ბებერო!
ერთმა კაცმა ბებიას ხელი ჰკრა და ჩემს საწოლს მოაშორა. მე ტირილი დავიწყე, პაპამ ნაჯახს ხელი დაავლო და ჰაერში შეათამაშა:

— იცოდეთ, ვინც ჩემს პავლიკას ხელს ახლებს — შემომაკვდება, — დაიძახა მან.
— გაიწით, გაიწით, — მოისმა ბოხი ხმა და ოთახში ჩვენი ახალდაარსებული საბჭოს თავმჯდომარე — ძია სტეფანე შემოვიდა, თან უცხოლ ჩაცმული, კარაკულისქუდიანი ახალგაზრდა კაცი შემოჰყვა.
— ამხანაგო სტეფანე, ეს მოხუცები არ გვანებებენ, რომ ბიჭი ცალკე მოვათავსოთ; ჩვენ იქ უკვე ოთხი ავადმყოფი გვიწევს, — შესჩივლა ქალმა.





— შავი ჭირი მუსრს ავლებს ხალხს. გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, — აყაყანდნენ სხვებიც.

— მოიცათ, ხალხო! — იყვირა ძია სტეფანემ — ეს შავი ჭირი კი არა — ტიფია. გაიგეთ? თეთრგვარდიელებმა ჭებში წყალი მოწამლეს და ტიფი გაავრცელეს. ეს ფაქტი დაადგინა აი, ამ ექიმმა, რომელიც მოსკოვიდან გამოგვიგზავნეს. ექიმმა თვალი გადაავლო ხალხს და თქვა:

— თუ შეიძლება, გარეთ გაბრძანდით, ბავშვი უნდა გავსინჯო.

ხალხმა დაგვტოვა. პაპამ კარები დაკეტა. ექიმმა დიდხანს მისინჯა მკერდი და ზურგი, ყელშიც ჩამხედლა.

— ნუ გეშინიათ, ეს არც შავი ჭირია და არც ტიფი, — ბავშვს ფილტვების ანთება აქვს, მისი წაყვანა საჭირო არაა.

პაპა და ბებია სიხარულისაგან ატირდნენ.

— დედაკაცო, აბა ცოტა არაყი და ღორის ღორი! თუ კი რამე გვაბადია — არ დაიშურო ამ კეთილი ადამიანისათვის! — თქვა პაპამ და ექიმს შეხედა.

— ერთი გვითხარი, გეთაყვა, რომელმა ღმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავი? — იკითხა ბებიამ და მაგიდის გაწყობას შეუდგა.

— ღმერთმა კი არა, მე ჩვენმა ბელადმა — ლენინმა გამოგზავნა. პირადად მისი დავალებით ჩამოვედი აქ, — აუხსნა ექიმმა.

— ლენინმა არ იცოდა, რომ ავად ვიყავი? — გამიკვირდა მე.

— ლენინმა იცის, ვის რა უჭირს! — გაიღიმა ექიმმა და თავზე ხელი გადამისვა.

— ლენინს ჩემგან დიდი მადლობა გადაეცი, — ვუთხარი მე.

— იცი, ჩემო კარგო, შენი მადლობა ის იქნება, — კარგად ისწავლო და შენს სოფელს გამოადგე.

— გესმის, პავლიკ? შენი მადლობა სწავლაა! — დაუმატა ძია სტეფანემ.

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას — კარგად ვისწავლი, — მტიცივდ ვთქვი მე.

იმედინად, ტკბილად ჩავთვლიემ. ძილბურანში კიდევ დიდხანს მესმოდა ძია სტეფანეს რიხიანი ხმა: სოფელში სკოლასა და საავადმყოფოს გაგხსნითო, — ეუბნებოდა იგი ხალხს.

საით მიდიან მატარებლები?

ჩვენს სოფელში ავადმყოფობამ საგრძობლად იკლო; მეც სრულიად გამოვჯანსაღდი, მაგრამ ბებია გარეთ არ მიშვებდა, ეშინოდა — ანთებას ხელახლა არ შეექცია.

თავში სულ მოსკოვი მიტრიალებდა, თვალწინ ექიმის მომლიძარე, ენერგიული სახე მედგა. მე ხომ მან გამომშვიდობებისას მისამართი მომცა და მითხრა: ძალიან მომეწონე, ბიჭო! თუ ოდესმე მოსკოვში მოგინდეს ჩამოსვლა, ჩემთან მოდი, გამეხარდებო. ეს სიტყვები დღე და დამ მოსვენებას არ მაძლევდნენ. „ნეტა როგორია მოსკოვი? როგორი სახლებია იქ?“ ბებიას გამოვუტყდი: მოსკოვში უნდა წავიდე-მეთქი. მან პირჯვარი გადაიწერა და მითხრა:

— ღმერთმა დაგიფაროს მეგისტანა ფაქრებისაგან, შვილო! ჩვენი სოფლიდან იქ ორი ბიჭი წავიდა სამუშაოს საშოვნელად; ამბობენ, ცუდ ხალხში მოხვედრილან და ორივე დაუხსოციათო.

— ეგ როდის, ბებია? — ვკითხე მე.

— კაი ხანია, იქნება ბარე სამი წელი.

— ჰოო. ახლა სხვა დროა. ასე იყო თუ ისე, მე და ბებიამ ამით დავამთავრეთ ლაპარაკი.

ახალწლის წინა დღეს ბებიამ ხის ძველ გობზე ფქვილი დაყარა, წყალი დაასხა და ზელა დაიწყო.

ო, რა სასიამოვნო სუნნი ჰქონდა ფქვილს! მთელი ერთი წელი — ფქვილის ნამცეცი არ ყოფილა ჩვენს სახლში.

— პავლიკ, აილე ფული და წადი კოოპერატივში, ბიჭის თბილი ხალათები მიუღიათ, — მითხრა ბებიამ.

მე ავიღე წითელი სამთუმნიანი და, რომ არ დამკარგვოდა, მუჭში ჩაუბლუჯე. გარეთ სუსხიანი ამინდი იყო. თოვდა. ორღობეში იშვიათად თუ ვინმეს შეხვდებოდით, — ყველა თავის ქოხში შებუდებულიყო.

ახალაშენებულ კოოპერატივში ფიჭვის სუნი იდგა. ჯერ წითელი ხალათი მოვიზომე, — დიდი მომივიდა; შემდეგ — მწვანე; არც ერთი არ მომერგო.

— ზეგ შემოიარე, ახალი საქონე-

მეყვანა სპივიზინია

მუღამ გახსოვდეს!

ხომ ხედავ, დღეს ამ ქუჩაზე მზე რა დიდია, ნათელი, — ეს იმიტომ, რომ ამ ქუჩას ჰქვია ღენინის სახელი.

გაპყვევ ამ ქუჩას, შეაღე დიდი მომავლის კარები, გახსოვდეს, მუღამ გახსოვდეს ღენინის დანაბარები.

ლი უნდა მივილოთ, — მითხრა გამყიდველმა...

...ნელი ნაბიჯით გავყევი დატკეპნილ ბილიკს, რომელიც ჩვენი სადგურისკენ მიდიოდა. შენობასთან შავი ფისით სავსე რკინის კასრი იგდო. გაყინულ მოსაცდელში იდგა ერთი ვილაც მაღალი, ჰალსტუხიანი ახალგაზრდა, ხელში ბალალაიკა ეჭირა, ერთი ქალი — ორი ბავშვით და ერთიც — თეთრწვერა მოხუცი. მე მატარებლების ყურება ძალიან მიყვარდა ხოლმე და ახლაც მივაჩერდი ორთქლმავალს, რომელიც გუგუნით, ქმენით დავოგავდა რელსებზე. მერე თეთრწვერა მოხუცს მივუბრუნდი და შევეკითხე:

— ბიძია, საით მიდიან მატარებლები?

— აი, იქითა რელსებზე — კავკასიისკენ მიდის, აქეთაზე კი — მოსკოვისაკენ. შენ რა, აპირებ სადმე წასვლას? — გამომცდელი თვალით მომაჩერდა მოხუცი.

— დიან, მოსკოვში.

— მოსკოვში? მარტო? ვისთან?

— ბიძა მყავს იქ, — ვიცრუე მე.

— მეც მოსკოვს მივდივარ, — იქ შვილი და შვილიშვილები მყავს; ახალწლისთვის ჩემი ბებერი მათთან ტკბილულს მატანს, — თქვა მოხუცმა და მკითხა: — მერე, ფული გაქვს ბილეთისთვის?

— აი, ბიძია, ეს მეყოფა? — მე მას წითელი სამთუმნიანი დავანახე.

— თავისუფლად გეყოფა. რაღას უყურებ? საცაა მატარებელი ჩამოდგება, აილე ბილეთი.

ვიღე და ვყოყმანობდი, მაგრამ

წითელ მოედანზე

მატარებელი რომ მოახლოვდა, რა-
ღაც უხილავმა ძალამ ხელი მკრა და
სალაროსთან მიმავლო. მოლარემ
ხურდა დამიბრუნა.

— პატარებს ნახევარი ბილეთი
უნდა, — მითხრა მან.

მაღე მატარებელი დაიძრა. უკა-
ნასკნელად-ღა გავხედე ჩვენს წი-
თელ, ყავრით გადახურულ სადგურს
და გული დამწყდა. მაგრამ არ ვიტი-
რე, თავის გამხნევება ვცადე, — ვის-
წავლი და ნასწავლი დაუბრუნდები
ჩემ საყვარელ ვოზნესენსკს-მეთქი.

როცა სადილობის დრო მოვიდა, —
ხალხმა გახსნა ბარგი და ჭამას შე-
უღდა. მე არც ბარგი მქონდა და არც
საჭმელი. მოხუცმა, რომლის გვერ-
დითაც აღმოვჩნდი, ღორის ღორი
და პური მომაწოდა. მე ისე მშობდა,
რომ ნამცეცის არ დამიტოვებია, —
წუთში გადავყვალ.

ფიქრებში წავედი. მაგონდებოდა
ჩვენი ქოხი, თბილი ღუმელი, ბები-
ა, პაპა. მაგრამ თავს იმით ვიმხნევე-
ბდი, რომ პაპას და ბებიას წერილს
მივწერდი და ყველაფერს ავუხსნი-
დი. როცა დაღამდა, ყველამ ხვრინ-
ვა ამოუშვა. ჩემმა მეზობელმა მო-
ხუცმა თავი კედელს მიაყრდნო და
ვულკანივით ავრგვინდა. მეც ჩამ-
თვლიმა...

...გხედავ, — ბები-
ა დაღონებული
ზის ღუმელთან.

— ნუ წახვალ, შვილო! — მეუბნე-
ბა იგი.

— არა, უნდა წავიდე, არ შემო-
ძლია, — ვპასუხობ მე. ქოხში აქლო-
შინებული პაპა შემორბის.

— რატომ არ იყიდე ხალათი, რა-
ტომ დანარჩე ფული! — ყვირის იგი
და მანჯღრევს...

მე თვალეზი გავახილე და დავი-
ნახე მოხუცი, რომელიც მალვითებ-
და:

— ადე, შვილო, ადე, მოსკოვია.
კარგად გათენებულიყო. სადგურ-
ში ზღვა ხალხი ფუსფუსებდა, — შე-
დიოდნენ, გამოდიოდნენ. მე, პირვე-
ლად ჩემს სიცოცხლეში, შემეშინდა
და მოხუცს მივეკარი.

— შენ, ეტყობა, არავინ არ დაგ-
ხვდა, შვილო. წამო, ნუ გეშინია, მე
წავიყვან. მისამართი ხომ იცი?

მე უხმოდ დაუქნიე თავი.
გარეთ გამოვედი. მოხუცმა ეტ-
ლი დაიჭირავა. მაღე მოსკოვის და-
თოვლილ ქუჩებში მივექროდი;
მე სახლების თვალთვლებით ვიყავი
გართული, როცა მოხუცმა მითხრა:

— აი, შვილო, ესეც პეჩატნიკო-
ვის შესახებევი. აბა, ყოჩაღად!

მადლობა გადავუხადე კეთილ მო-
ხუცს და ერთ მალალ სახლში შევე-
დი.

— ეს ორი ნომერია, სამი — პირდა-
პირაა, — მითხრა შავქურქიანმა ქალ-
მა.

„ვაითუ არ დამხვდეს?! მერე
საღლა წავიდე?“ გავიფიქრე მე და
შიშმა ამიტანა. კანკალით შევედი
ჩაბნელებულ საღარბაზო შესას-
ვლელში. დიდხანს ვაბრახუნე კარზე.
ბოლოს, ვიღაც თმაგაწეწილმა ქალ-
მა კარი გამიღო და დამიყვირა:

— რას აბრახუნებ ამ დილაადრი-
ანად, ვინა ხარ?

— თუ შეიძლება, მითხარით, —
სად ცხოვრობს ექიმი კუზნეცოვი?

— ვინ კუზნეცოვი, რა კუზნეცო-
ვი, რას მაწუხებთ? მოშორდით აქე-
დან, — დამიყვირა ქალმა და კარები
ისე მოაჯახუნა, რომ კედელი შეინ-
ძრა. თავზარი დამეცა, თვალებიდან
ცრემლები დაა-ღუპით გადმო-
ცვივდა. უნებლიეთ კამახსენდა ჩე-
მი ქოხი, პაპა, ბები-
ა. უეცრად, ვი-
ლასის ხელის შეხება ვიგრძენი. ჩემს
წინ თავშლიანი ქალი იდგა:

— რატომ სტირი, შვილო? რა
მოგსვლია?

მე ორი სიტყვით ვუამბე ყველა-
ფერი.

— ნუ სტირი, ბიჭიკო. ექიმი კუზ-
ნეცოვი მესამე სართულზე ცხოვ-
რობს.

ავედი.
ექიმს ეძინა.

მისმა მეუღლემ — ლამაზმა, ლი-
ლილოსფერთვალემა ქალმა სამზარე-
ულოში შემიყვანა, ჩაი დამალევიანა
და ყველაფერი გამომკითხა.

— ვიცი! — მითხრა ქალმა, — ვა-
სილიმ ყველაფერი მიაგმო. ისიც
მითხრა, რომ თუ შენ გავრილოვის
სარდაფში, ტიფიან ავადმყოფებთან
მოგათავსებდნენ, ტიფი გადაგედე-
ბოდა...

სამზარეულოში შვიდიოდე წლის
გოგონა შემოცქრიალდა.

— ეს ჩემი ქალიშვილია, — გამა-
ცნო ექიმის მეუღლემ.

— იცი, კატია, — უთხრა მან გო-
გონას, — ეს პატარა ბიჭი სოფლი-
დან სასწავლებლად ჩამოვიდა...

— აბა, სად არის ჩვენი პავლიკა! —
გაისმა უცებ ექიმის ხმა. ვიგრძენი,
სიხარულისაგან სახე ამიჭარხლდა.

ახლა აღარაფრის აღარ მეშინო-
და, — გინდ მტრის ლაშქარი დამე-
ნახა...

ჩვენი საერთო საცხოვრებელი მო-
თავსებული იყო 'ხის ძველ, ორსარ-
თულიან შენობაში; ოთახში სამნი
ვიწვიქით: მე, მწითური კოლია და ვი-
ტია, რომელსაც ქოთანისვით სახე
ჰქონდა. ვიტისაც დედ-მამა არ ახსოვ-
და, კოლიას კი — დედინაცვალი
ჰყვავდა.

— დედინაცვალი ხომ მხოლოდ
ზღაპრებშია, — ვთქვი მე.

— ეგ შენთვისაა ზღაპრებში. მე
ნამდვილი დედინაცვალი მყავს. ჭი-
რით ვეჯავრები. მთელი წელი სახ-
ლიდან გაქცეული ვიყავი.

კოლია ჩემზე დიდი იყო ექვსი
წლით. მის თავზე წისქვილის ქვა არ
დატრიალებულიყო, თორემ სხვა რა
გაჭირვება არ ენახა: რესტორანში
მზარეულის თანაშემწედ უმუშავებდა,
შემდეგ საშაქარლამოში ყუთებს
ეზიდებოდა. როცა დედინაცვალმა
ლორი და უსინდისო უწოდა, კოლია
ტულაში, დეიდასთან გაქცეულა. იქ,
იარაღის ქარხანაში ხარატთან შე-
ვირდად მდგარა, ვიღრე მამის სიკვ-
დილი არ შეუტყია...

უსასრობის გამო, მოსკოვში ფე-
ხით ჩამოსულიყო.

— შენი საქმე უფრო კარგად არის,
ძმაო! — ამოოხვრით მითხრა კოლი-
ამ, — არიან ამ ქვეყანაზე აღამიანე-
ბი, რომლებსაც შენ უყვარხარ.

— ბედნიერი კაცი ხარ, პაპა და
ბები-
ა გყავს, — დაუმატა ვიტამ.

მე ორივე შემებრალა.

— მაშ, რაი აგრეა, ორივეს პა-
პასთან და ბებიასთან გეპატიეებით.





ლენინი და ბავშვები

ბიჭებმა სიხარულისაგან ქულები ჭერსა ჰკრეს.

— ტბა არის? — მკითხა კოლიამ.

— ერთის მაგივრად—ორი.

— მაშ, თევზებს დავიჭერთ, — ტაში შემოჰკრა ვიტამ.

...იმ დღეს, სადილზე ძალიან მოვილხინეთ. დეიდა ფროსიამ გემრიელი, ჭარბლიანი სუპი დაგვირიგა. სასაბლილოში ჩვენი გამგე შემოვიდა. ხმაური და ალიაქოთი მაშინვე შეწყდა. მან გამოგვიცხადა, რომ სალამოს პიონერულ ფორმას დაგვირიგებდნენ და მეორე დღეს, პირველ საათზე, წითელ მოედანზე წავიდოდით...

— წითელ მოედანზე? — ჩავეკითხეთ ჩვენ.

— დიახ, ხვალ ამხანაგი ვლადიმერ ლენინი მოხსენებას აკეთებს.

მე სიხარულისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა.

„მაშ, ხვალ მე საკუთარი თვალით ვნახავ იმ ადამიანს, რომელმაც სიცოცხლე მაჩუქა? და ვანა მარტო მე, — პაპას, ბებიას, მთელ სოფელს...“

იმ სალამოს ძალზე აღვზნებული ვიყავი. დილით ადრე გამეღვიძა. გაუთავებლად მინდოდა მელაპარაკანა...

— რა მამლაყინწასავით დაქუსქუსებ, დაწევი; ხედავ, ჯერ მეუბოვებებიც არ ამდგარან, — შემომიტიკოლიამ, მაგრამ რა დამაძინებდა?

მოდრუბლული და ცივი დილა იყო. თოვლა. ცაში ურიცხვი, თეთრი ფანტელები ირეოდნენ. ჩვენ, პალტოს საყელოზე მოხვეული წითელი ყელსახვევებით, მხნედ მივაბიჯებდით გასიპულ ქუჩაში.

— შეხედეთ, პიონერები! წითელყელსახვევიანი პიონერები! — გაისმა ხალხში.

ჩვენ მთელ ქვეყანაზე პირველი პიონერები ვიყავით, რომლებმაც წითელი მოედნის ტრიბუნას ჩაუარეს...

სასულე ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი“.

— გაუმარჯოს ჩვენს ახალ თაობას, ჩვენი მომავალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს! — გაისმა ლენინის ხმა.

ვუსმენდი ლენინის მგზნებარე სიტყვას და ყურში ჩამესმოდა ექიმის სიტყვები:

— „ლენინმა იცის, ვის რა უჭირს... მე ლენინმა გამოგზავნა...“

ს აბქოთა ხელისუფლების პირველ წლებში, მოსკოვში (ძველი სოკოლნიკის პარკში) მშრომელთა ბავშვებისათვის გაიხსნა სატყეო სკოლა. აქ, 1918 წლის იანვრამდე, ავადმყოფობის გამწვავების გამო, ისვენებდა და მკურნალობდა ნ. კ. კრუპსკაია. ვ. ი. ლენინი ხშირად ნახულობდა ნადეჟდა ნიკოლოზის ასულს და ყოველ ჩამოსვლაზე ესაუბრებოდა სკოლის თანამშრომლებს და ბავშვებს. ისინი ძალიან შეეჩვივნენ ვლადიმერ ილიას ძეს და მხურვალედ შეიყვარეს იგი.

1919 წლის 19 იანვარს ამ სკოლაში მოეწყო საახალწლო ნაძვის ხე.

ვ. ი. ლენინი, სკოლის თანამშრომლების მოწვევით, ბავშვთა საახალწლო ნაძვის ხეზე მივიდა თავის დასთან მ. ი. ულიანოვასთან ერთად როგორც კი ლენინი დარბაზში გამოჩნდა, ბავშვები შემოეხვივნენ მას და მთელი საღამო გვერდიდან აღარ მოშორებია.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველ ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მოგონებაში ვკითხულობთ, რომ ბავშვთა ამ დღესასწაულზე ვლადიმერ ილიას ძე გულწრფელად მხიარულობდა, იცინოდა და პატარებთან ერთად მღეროდა კიდევც. ვლადიმერ ილიას ძეს მრავალ შეკითხვას აძლევდნენ. იგი ასწრებდა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას, ხუმრობდა, ენამახვილობდა.

სატყეო სკოლის ბავშვები ვ. ი. ლენინს თავის უახლოეს ამხანაგად და მეგობრად თვლიდნენ. ბავშვებმა ილიჩი მიიწვიეს ჩაიზე, უმასპინძლებდნენ, მურაბას სთავაზობდნენ. ყველას უნდოდა, რაიმეთი ესამოგნებინა მისთვის. ვ. ი. ლენინი თავისი ხელით უსხამდა ბავშვებს ჩაის, უკვირდებოდა მათ ყოველ მოქმედებას, თითქოს ყველა ისინი მისი ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ. თითქმის ყველა ბავშვის სახელი ზეპირად ახსოვდა. ბავშვები შენობით მიმართავდნენ მას, დაათვალიერებინეს ესთეტიკური აღზრდის მუზეუმის ექსპონატები, უჩვენეს ჩიტები, ციყვი და სხვა ცხოველები, რომლებსაც თვითონ ბავშვები უვლიდნენ.

ვლადიმერ ილიას ძეს ბავშვებმა მიუტანეს თავიანთი ნახატები და ჟურნალი, რომელსაც, ჩვეულებრივ, არავის არ აკითხებდნენ...

1923 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ახალი წლის წინ, ვ. ი. ლენინის თხოვნით, მასთან შეკრიბეს გორაკელი გლეხების ბავშვები და მათთვის მოაწყეს საახალწლო ნაძვის ხე. ვ. ი. ლენინი უცქეროდა ბავშვებს და ხარობდა მათი მხიარულებით...

ბავშვებს დაურთიგეს საჩუქრები.

ასეთივე ნაძვის ხე გორაკში მოაწყეს 1924 წლის იანვარშიც. ამჯერად ლენინს არ შეეძლო ბავშვებთან ყოფილიყო; იგი მძიმე ავადმყოფი იწვა. შიშობდნენ, რომ ხმაური შეაწუხებდა ლენინს და ბავშვები გააფრთხილეს—არ ეხმაურათ, მაგრამ ლენინმა ითხოვა, — არავითარ შემთხვევაში არ შეეზღუდათ ბავშვები, მიეცათ მათთვის თავიანთ ნებაზე მოლხენისა და გართობის შესაძლებლობა.

ერთხელ გორაკში, როცა ბავშვებს ეფერებოდა, ლენინს უთქვამს: აი, ესენი ნამდვილად ჩვენზე უკეთ იცხოვრებენა!

ზალდა, მოგვიყ

ლავითი და გავა

პრტი

ყველასათვის,

ყველა

პრტისათვის

მავით ერისთავი სკოლიდან გამოვიდა. ქუჩაში ზაზა შეხვდა.
— ასე გვიან საიდან, ღავით? — ჰკითხა ზაზამ.

— რაზეულის საბჭოს სხდომაზე ვიყავი.
— მერედა, ამდენ ხანს?!
— ბევრი სალაპარაკო გვექონდა...
— ვის საკითხს იხილავდით, ხომ არავინ გაგიწითლებიათ?!

— არა, ვინ უნდა გაგვეწითლებია. იმაზე ვმსჯელობდით, თუ როგორ მოვემზადოთ ლენინის დღეებისათვის.

— მართლა?! მერედა, ამას რა ბევრი მსჯელობა უნდა: შევისწავლოთ ლექსები და სიმღერები ბელადზე, ვნახოთ კინოფილმები, რომლებიც ლენინზე მოგვითხრობენ, მოვაწყოთ ლიტერატურული დღია, დავათვალიეროთ ისტორიული ადგილები... რად უნდა ამას ბევრი ფიქრი და ლაპარაკი.

— ამაზე არც ჩვენ გვილაპარაკია.
— აბა, რაზე ლაპარაკობდით?! — გაოცდა ზაზა.
ბინდი ნელ-ნელა მოიპარებოდა. მეგობრები ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ თარხნიშვილის ქუჩას. ზაზა სმენად იყო ქცეული. ღავითი დაწვრილებით უყვებოდა რაზეულის საბჭოს სხდომის შესახებ.

ღავითაჲლიეროთ, თუ...

რაზეულის საბჭოს სხდომაზე ზაზას წინადადებებს თითქმის ყველა პიონერი ეთანხმებოდა; ჰქონდათ მცირე შენიშვნებიც.

გივი ლენინზე დაწერილი წიგნების განხილვას მოითხოვდა, ვაჟა ფოტოგაზეთების გამოშვებას ურჩევდა ამხანაგებს; თემებიც საგანგებოდ მოეფიქრებინა: „ლენინი და კომკავშირი“, „ვალოდია სკოლაში“, „ლენინი და ბავშვები“.

— ეს ყველაფერი იმის განმეორებაა, რაც ადრე გაგიკეთებია, — თქვა მერაბ ცქიტეშვილმა.

— ჩვენი აზრი თუ არ მოგწონს, შენ თვითონ რატომ არაფერს ამბობ?

— მე მუზეუმის შესახებ მინდა გითხრაო...

— ნამდვილად კარგია, დავათვალიეროთ ისტორიული მუზეუმიც, — აღარ აცალეს მერაბს ამხანაგებმა სათქმელის დამთავრება.

— არა, მე მაგას არ ვამბობ.

— აბა, რას?

— ჩვენ თვითონ შევექმნათ სკოლაში ლენინის მუზეუმი...

— მერე, ოთახი?!

— თქვენ თუ ამ წამოწყების ბოლომდე მიყვანა გინდათ, — ოთახს ჩვენ გამოგიყოფთ, — უთხრა პიონერებს სკოლის დირექტორმა ანდრო მუქელიძემ, რომელიც რაზეულის საბჭოს სხდომას ესწრებოდა. ამ სიტყვებმა ყველა გაახარა, განსაკუთრებით — მერაბი.

„რაკი ოთახი იქნება, ამხანაგებმა მხარიც, რომ არ ამიბან, მე თვითონ დაგიწყებ მუზეუმის შექმნას. როცა დაინახავენ, რომ საქმეს თავი ებმება კმაშინ ყველა დამეხმარება“, — გაიფიქრა მერაბმა.

— ძალიან კარგი აზრია. მე ფოტოგაზეთს მრავამზადებ ლენინის მუზეუმისათვის, — თქვა დინარა ვახანაძემ.

— მე ხომ ლენინგრადელ პიონერებთან მიმოწერა მაქვს! მათი დახმარებით შევადგენ ალბომს — „ლენინის ქალაქი“, — დაუმატა ლევან ჩომახიძემ. თემურ ჩხეიძემ ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი რუკის შედგენა იკისრა.

— მოდი, ლენინის მუზეუმთან ლენინის ბიბლიოთეკაც შევექმნათ, — ურჩია მეგობრებს თემურ ჩომახიძემ, — ამ ბიბლიოთეკაში იქნება მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც საყვარელი ბელადის შესახებ მოგვითხრობენ.





— მე ამ ბიბლიოთეკისათვის მოვიტან წიგნს: „ლენინს—ქართველი პოეტები“.

— მე მაქვს გორკისა და კრუპსკაიას მოგონებები ლენინზე, — წამოიძახა ვილადამ.

ბიბლიოთეკარიც მაშინვე გამოჰყვეს; ეს მოვალეობა ბიბლიოთეკის შექმნის ინიციატორს—თემურ ჩომახიძეს დაეკისრა.

ეს იყო მაშინ, როდესაც რაზმეულის საბჭო პირველად მსჯელობდა ლენინის მუზეუმის შესახებ. ახლა ეს მუზეუმი უკვე ფრთაშესხმული ოცნებაა. იგი არაფრით არ გავს ლენინის კუთხეს, ან ლენინის ოთახს, რომელსაც ყველა სკოლაში შეხვდებით, — ეს არის ნამდვილი მუზეუმი, რომელსაც ასეთი წარწერაც კი აქვს: „მუშაობს ყოველდღე“. — კი მაგრამ, კვირაობით ხომ სკოლაში მეცადინეობა არ არის? — იკითხავთ თქვენ. საქმე ის არის რომ 53-ე სკოლაში პიონერებმა ნამდვილი მუზეუმი შექმნეს, ნამდვილ მუზეუმს კი ყველაზე მეტი სტუმარი სწორედ კვირა დღესა ჰყავს...

ჩვენ აქ შევხვდით ქართველ პოეტებს—იოსებ ნოზიშვილს, ალექო შენგელიას, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ნაზი კილასონიას...

ლენინის მუზეუმში მზადდება კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი: „ბელადს ვუძღვრით“. პატარების თხოვნით, პოეტები მასში საკუთარი ხელით სწერენ ლენინისადმი მიძღვნილ საკუთარსავე სტრიქონებს.

ერთ-ერთ მაგიდაზე ლამაზად გაფორმებული ალბომია. მას სათუთად აწერია სამი სიტყვა: „მე ვნახე ლენინი“. ალბომი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ცნობილი ქართველი რევოლუციონერი სერგო ქავთარაძე დიდ ლენინს.

ჩვენი ყურადღება კიდევ მიიპყრო...

თუმცა არა, — კარგი იქნება თუ „პიონერის“ მკითხველები თვითონ ეწვევიან მას. მუზეუმის პატარა „თანამშრომლები“ სტუმრებს სიამოვნებით დაათვალიერებინებენ თავიანთ მუზეუმს. ამ დღეებში ისინი ახალ მასალებს: ფოტოსურათებს, ალბომებსა და ექსპონატებს ელიან თავიანთი ულიანოვსკელი, ლენინგრადელი, მოსკოველი და რიაზანელი მეგობრებისაგან.

აი, მაშინ უნდა ნახოთ, როგორი იქნება ეს მუზეუმი.

„როგორ მოიხსნა კახა და როგორ მოიხსნაოლა ვალოდია ულიანოვი?“

პედაგოგებისა და ამხანაგების წრეში ჩამდგარ ბიჭუნას სახე შეფაკვვოდა. მას ყველასაგან საყვედურის კილოთი ნათქვამი ეს ოთხი სიტყვა ესმოდა: „ასე არ უნდა მოქცეულიყავი“. ეს ბიჭუნა VI კლასის მოსწავლე კახა შოშიაშვილი იყო. კახა წესიერი, ხუთოსანი მოსწავლეა. იგი რგოლის ხელმძღვანელადაც აურჩევიათ ამხანაგებს. ახლა კი მას პასუხს თხოვდნენ სხვისი ორებისა და ცუდი ყოფაქცევის გამო.

— კი მაგრამ, ისაკთან მე რას გავხდები. ახლაც მელანში ისეა ამოთხვრილი, გვეგონებათ შიგ უბნავიაო.

განა დღეს პირველად დაარღვია წესრიგი? ესეთი გაკვეთილი ხომ იშვიათია, რომელზედაც იგი წინაშეა. ან ორიანებს არ იღებდეს. მე კი მომხადებული მოვედი, წესრიგიც არ დამირღვევია გაკვეთილზე. ვერ გამიგია, სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყავი, რატომ უნდა ვაგო პასუხი ისაკ წიწუშაშვილის ორიანებისა და ცუდი ყოფაქცევის გამო?!

მეორე დღეს მუზეუმში გაჩნდა მცირე ფორმის, სპეციალური კედლის გაზეთი. მას ჰქონდა მეტად ორიგინალური საერთო სათაური: „როგორ მოიქცა კახა და როგორ მოიქცეოდა ვალოდია ულიანოვი?!“

„ისაკი თავისი ცუდი ქცევით მთელ კლასს უშლიდა ხელს. კახა ვალდებული იყო ისაკისათვის წესრიგისაკენ მოეწოდებინა... მან ეს თუ არ გააყეთა გაკვეთილებზე ან შესვენებაზე, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ უნდა მოეწვია რგოლის შეკრება და ისაკი გაეწითლებინა“.

„კახა გაკვირვებით კითხულობს: მე წყნარად ვიჯექი, გაკვეთილიც ვიცოდი და სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყავიო. მე ყველაზე მეტად სწორედ კახას გაკვირვება მაოცებს და შეკითხვას პირდაპირ ვპასუხობ: — კახას ადგილზე პატარა ვალოდია ასე არ მოიქცეოდა; იგი ჩინებული მოსწავლე იყო. მხოლოდ საკუთარ თავზე როდი ფიქრობდა: ზრუნავდა ყველა ამხანაგზე. მთელ კოლექტივზე... ერთის წარმატება ვერ დაფარავს კოლექტივის ჩამორჩენას, კოლექტივის კი შეუძლია წესრიგის დამირღვევი და სწავლაში ჩამორჩენილი ამხანაგების გამოსწორება. ეს კახამ უნდა იცოდეს“.

აი, ამგვარი წერილები გაჩნდა კედლის გაზეთში. VI კლასის მოსწავლეებმა იმ დღესვე მოიწვიეს რაზმის შეკრება და დიდხანს, ძალიან დიდხანს მსჯელობდნენ. ბოლოს რაზმის შეკრების დღიურში ჩაწერეს: „ვიცხოვრებთ და ვისწავლით ლენინურად. ვეცდებით, მომავალში ჩვენი რაზმის პიონერებისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთს სათაური შეეცვალოს, თუნდაც ამგვარად: „ასე მოიქცეოდა ვალოდია ულიანოვი“.

„ეფრინავები“ ოსნაგოპან „კოსმონავტოგაგი“

— ესენი ჩვენი „მფრინავები“ არიან, მაგრამ მათ ბრიგადას სრულად ვერ წარმოვიდგენთ. ოთხი მათგანი უკვე „რეისშია“. ახლა სად იქნებიან—ვერ გეტყვით, — საოცარი სისწრაფით იცვლიან ადგილს, — გვითხრა სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა აზა ლეჟავამ და გოგონებისა და ბიჭუნების ერთი ჯგუფი გაგვაცნო.

— მაშ ასე, თქვენ ნორჩი „მფრინავები“ ხართ, არა? — დავინტერესდი მათი საქმიანობით.

ბავშვებმა გაიღიმეს...

იმ დღეს გაკვეთილებზე არ გამოცხადდა მათი თანაკლასელი თამაზი. „მფრინავთა ბრიგადის“ შტაბმა თამარ პაქსაშვილს და მანანა მდივანს დააუვალა — გაეგოთ რატომ აცდენდა გაკვეთილებს თამაზი. მათ შესვენებაზევე, თამაზის მეზობელი პიონერების მეშვეობით გაიგეს, რომ თამაზი ავად გამხდარა. ისიც შეიტყეს, რომ თამაზის დედა მივლინებაში ყოფილა და, მოხუცი ბებოს ანაბარად დარჩენილა ავადმყოფი.

— ბებია თამაზს ვერ შორდება და წამლის მოტანა ჩვენ გვთხოვს. გაკვეთილები რომ დამთავრდება, აფთი-
აქში უნდა გავიაროთ და თამაზს წამლები მივუტანოთ,—
უთქვამთ თამაზის მეზობელ ბავშვებს პიონერებისათვის.

— თქვენ პირდაპირ სახლში წადით, თამაზს კი ჩვენ
თვითონ მივხედავთ, — უპასუხნიათ მათთვის თამარსა
და მანანას და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ პირ-
დაპირ თამაზთან წასულან...

„მფრინავი ბრიგადის“ წევრები დიდ ყურადღებას
აქცევენ დისციპლინასა და აკადემიურ მოსწრებას. ამას
წინათ, პიონერმა გელამ (მეთორმეტე რაზმელების
თხოვნით, მის გვარს არ ვასახელებთ) ორები მიიღო უც-
ხო ენასა და გეომეტრიაში. „მფრინავი ბრიგადის“ წევ-
რებს სკოლაში არაფერი უთქვამთ მისთვის. გელას ამბა-
ვი ხომ ყველამ იცის — ათასგვარ რამეს მოიგონებს და
თავს მაინც გაიმართლებს. დამთავრდა თუ არა გაკვეთი-
ლები — გელა, როგორც ყოველთვის, დამზიდებული
გამართა სახლისაკენ. აბა, გელას საიდან უნდა სკოლნო-
და, რომ სულ მალე მას „დაუპატიებელი სტუმარი“,
თანაკლასელი ნინო ხეცაძე ეწვეოდა. გელამ ნინო რომ
დაინახა, ცოტა არ ესიამოვნა.

„რაღა ბურთის თამაშის დროს მომიწრო. ახლა,
„დღის რეჟიმის“ მიხედვით, გაკვეთილებს უნდა ვამზა-
დებდე,“ — გაუელვა გელას თავში. გელა იმ დღეს შობ-
ლებთან გააწითლა ნინომ. შემდეგ მთელი დღე მასთან
ერთად ამზადებდა საშინაო დავალებს. რა თქმა უნდა,
ყველაზე მეტი დრო გელასათვის შედარებით ძნელ
საგნებს — უცხო ენასა და გეომეტრიას დაუთმო. ნინო იმ

დღიდან ყოველდღე დადიოდა გელასთან და
ერთად ამზადებდა გაკვეთილებს. მალე VI კლასის ყურ-
ნალში გელას გვარის გასწვრივ უცხო ენის მასწავლებე-
ლმა საშინაო ჩასწერა, ხოლო გეომეტრიის მასწავლებელ-
მა ნინო და გელა ერთად შეაქო, როცა ოთხიანს უწერდა
გელას.

ასე, ბევრი ამხანაგი ჩააყენეს მოწინავეთა რიგებში
„მფრინავებმა“. მათი საქმიანობით კმაყოფილია მთელი
სკოლა, მაგრამ... „მფრინავი“ გია ქისტაური არ არის
კმაყოფილი. ვერ იქნა და ვერ გამოასწორა პიონერი
ლ. წ. მას პირველ მეოთხედში ორიანი გამოჰყვა რუ-
სულში. გია ქისტაური ამას საკუთარ დანაშაულად
თვლის და არც თავის მართლებას ცდილობს, მაგრამ
ისიც ხომ სათქმელია, რომ ლ. წ. ადრე რამდენიმე საგან-
ში იღებდა ორებს, ახლა კი — მხოლოდ რუსულში აქვს
ორიანი.

— მეორე მეოთხედში აუცილებლად გამოვასწორებთ
ლ. წ.-საც. — გვეუბნება გია ქისტაური და ყველას სჯერა
მისი სიტყვისა.

უფროსი პიონერებელმძღვანელი აზა ლეევა „საი-
დუმლოს“ გვიმხელს:

— როგორც კი VI კლასს ასპროცენტიანი მოსწრე-
ბა ექნება, რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით მე-12
რაზმის „მფრინავ ბრიგადას“ „მფრინავი კოსმონავტე-
ბის ბრიგადა“ დაერქმევა.


გერლია ასანურელი

ვოტო დავით იაკობაშვილისა



ედმუნდ ნიზიურსკი ცნობილი პოლონელი საბავშვო მწერალია. მისი ხალისიანი, გონებამახვილური მოთხრობები ძალიან უყვართ პოლონელ ბავშვებს. მოთხრობა „მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ მწერალმა 1959 წელს გამოაქვეყნა. ეს მოთხრობა ძაღზე თავისებური და საინტერესო ნაწარმოებია. ვფიქრობთ, ქართველი ნორჩი მკითხველი დიდი სიამოვნებით და გატაცებით წაიკითხავს ედმუნდ ნიზიურსკის ამ მოთხრობას.

მოთხრობა დაიბეჭდება გაგრძელებებით.



ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს ცამეტი წლის მოქალაქე. ჩემმა ნაცნობმა ბიჭებმა მითხრეს: მას მარეკი ჰქვია, გვარად პეგუსიაო. („პეგუსი“ ჭორფლიანს ნიშნავს). ისიც მითხრეს — მარეკი მეექვსე კლასშიაო. ეს ბიჭი დიდი ხანია შენიშნული მყავდა, ალბათ იმიტომ, რომ სახეზე ზომასზე მეტი ჭორფლი ეყარა, ან იქნებ იმიტომ, რომ ყოველთვის დაღვრემილი სახე ჰქონდა.

თავდაპირველად ვიფიქრე: ალბათ რაღაც უსიამოვნება შეხვდა ან სერიოზული მარცხი მოუვიდა-მეთქი. ყველაზე მზიარულ ბიჭებსაც ხომ შეემთხვევათ ხოლმე უსიამოვნო ამბავი. მაგალითად, ასტკივლებათ კბილი ან მუცელი, ან ავტოკალამი დაეკარგებათ, ან უმცროსი და დაუხვევთ რვეულს, ან შარვალს ლურსმანს გამოსდებენ და გაიხვევენ... ისიც კი ვიფიქრე, იქნებ დედამ ან მამამ დატუქსა-მეთქი და, იმის ნაცვლად, რომ მისთვის ველოსიპედი ეყიდათ, უყიდეს ანაფორასავით ჩაფართხუნებულ

ლი პალტო, — განიერი და გრძელსახელოებიანი, რომელშიც ხელები ეკარგებოდა, და უბრძანეს — ეს პალტო უნდა ატარო.

იქნებ ამ ბიჭმა ვერ მიიღო ფული ბურთის საყიდლად, და მიიღო ორიანი არითმეტიკაში; ან იქნებ ქალაქის ფრანმა, რომელიც თავისი ხელით გააკეთა, არ მოინდომა გაფრენა და ბიჭებმა სიცილი დააყარეს ოსტატს. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ვინმე უფროსკლასელი ყოყლოჩინა, ყველას თანდასწრებით, დაიყვირებს „ეი, ლაწირაკო, დაიკარგე აქედან“. განა ამის გაგონება საწყენი არ არის მამაკაცისათვის, რომელსაც უკვე ცამეტი წელი შეუსრულდა?

ამ ქვეყანაზე კაცს რამდენი საწყენი შეხვდება, რომელიც სტრიქინასავით მოგშხამავს და წონასწორობიდან გამოგიყვანს მთელი დღის ან, ვთქვათ, ნახევარი დღის განმავლობაში.

ასე და ამგვარად, დავასკვნენ: მარეკი უთუოდ რაღაც ხიფათს გადაჰყრია, ცხვირჩამოშვებული იმიტომ დადის, რომ ჩემს მიერ შემოჩამოთვლილ ამქვეყნიურ ვაებათაგან უთუოდ რომელიმე შეემთხვა: ან დაჰკარგა რამე, ან დუღკო დააჭდა, ან რაღაც ამგვარი უსიამოვნო რამ მოუვიდა, — ამიტომ დადის შეწუხებული და ნაღვლიანი-მეთქი. მაგრამ გადის ერთი დღე, ორი, გადის კვირა, ორი კვირა, — და მარეკი სულ ისევ ისე დაღვრემილია. რამდენჯერაც არ შევხვდი, — ყუავე სახე ჰქონდა და წარმოუდგენლად ბევრი ჭორფლი ეყარა სახეზე.

გადავწყვიტე, გამომერკვია — რაში იყო საქმე, და პირველივე შეხვედრისას ვკითხე:

- რატომ გაქვს ყოველთვის ასეთი სახე?
- მან, ალბათ, ვერ გაიგო, რას ვეკითხებოდი;
- როგორი სახე?
- დაღვრემილი და შეწუხებული, ჩემო ბიჭუნო. მან მხრები აიჩიჩა:
- სახე — სახეა, მე ყოველთვის ასეთი სახე მაქვს.
- ნუ ამბობ სისულელეს, მარეკ, — ვუთხარი მე, — შენოდენა ბიჭუნას არ შეიძლება ყოველთვის შეწუხებული სახე ჰქონდეს. შენ არა გაქვს ამის მიზეზი, შენ ხომ

ივანე ნიკიასი

ნახატი მ. პალასი



მარკ პეუსის

არაჩვეულებრივი

თავგადასავალი

არაფერი არ გაკლია: გყავს მშობლები, ამხანაგები, გაქვს ველოსიპედი...

— ჰო, ველოსიპედი მაქვს, მშობლებიც მყავს, — დამეთანხმა იგი.

— იქნებ, ჭორფლი რომ გაქვს ეს გაწუხებს?

— იპ, ერთი! ჭორფლს დიდი ხანია შევეჩვიე.

— შენ ჯანმრთელი, ღონიერი ყმაწვილი ხარ; მე მახსოვს, როგორ დადე ორივე ბეჭით მოკრივე ბუბუ პირველი, ჩვენი უბნის ყველაზე ღონიერი ყოჩი.

— მართლა? — ქვეშევეშ გამომხედა მარეკმა.

— მაშ.

— მაშინ მე ნაგრიბალი ვიყავი და თავს შედარებით სუსტად ვგრძნობდი; ისე კი, მე ღონიერი ვარ, — ჩაიდუღუნა მან, მაგრამ სახე ძველებურად დაღვრემილი ჰქონდა!

— ამას გარდა, ჩემთვის ცნობილია, — განვაგრძე მე, — რომ შენ ჩაატარე მთელი რიგი ცდები, რომელთა შედეგად მოახერხე აფეთქების მოწყობა და ორი საათის განმავლობაში ჩვენი უბნის ჰაერი მოწამლული იყო. ვიმედოვნებ, რომ, ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდება.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — მოიწმინდა ცხვირი ფიქრებში წასულმა მარეკმა, მაგრამ სახის გამომეტყველება მაინც არ შეცვლია.

— მაშ, რაშია საქმე, მარეკ?

— რატომ მეკითხებით? სულერთია, თქვენ ამას მაინც

ვერ გაიგებთ, მხოლოდ გაიოცებთ და მეტი არაფერი.

— აბა, აბა, ვნახოთ.

— რა შეიძლება გითხრათ? ცდები, ველოსიპედი... ბუბუს ორივე ბეჭზე დადება. ყოველივე ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა მოვლენებისა, ასე ვთქვათ, — დეტალები; მე კი ყოველ ნაბიჯზე მარცხი მომდის...

— ამაში, მეგობარო, ალბათ, შენ თვითონა ხარ დამნაშავე...

— გეფიცებით, — არა!

— მაშ, რაშია საქმე?

— მართლაც რაშია საქმე, — აიჩეჩა მხრები მარეკმა, — უბრალოდ, მე დათარსული ვარ, — ყოველთვის უკან მდევს გარემოებათა საბედისწერო დამთხვევა.

— გარემოებათა საბედისწერო დამთხვევა? კაცმა რომ შეგხედოს — კულტურულ ბიჭუნას გავხარ და რაღაც საბედისწერო გარემოებებისა გჯერა?

— თქვენ არ იცით, და ვერც წარმოიდგენთ, რა ხიფათს გადავეყრები ხოლმე.

— მერედა, მაგან დაგალონა? სხვა ბავშვები ნატრობენ ხიფათს, ოღონდ რაიმე ფათერაკს გადაეყარონ და!

— არა მგონია, ასეთ ხიფათს ნატრობდნენ, — მიბასუხა მარეკმა, — თქვენ რომ ფიქრობთ, ის ხიფათი სულ სხვაა, მე საშინელი ხიფათები მდევს.

— მაინც, რა ხიფათები? რამდენადაც ვიცი, ბირმაში ვეფხვებზე არ ნადირობ და არც ანტარქტიდის შესასწავლად მოგზაურობ.

— აი, სწორედ ამაშია საქმე. არც ანტარქტიდის შესასწავლად ვმოგზაურობ, არც ვეფხვებზე ვნადირობ. და საერთოდ—არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, და მაინც და მაინც, ყოველთვის მე უნდა შემხვდეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ.

— იცი რა გითხრა, — წარმოუდგენელია, რომ სკოლაში, გინდ სახლში, ყოველთვის არაჩვეულებრივი რამ გელოდებოდეს.

მარეკმა თანაგრძნობით ჩაიღიმა:

— თქვენთვის, რასაკვირველია, ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ მე ხომ გითხარით, რომ ასეთი ხიფათი ყოველთვის მხოლოდ მე უნდა შემხვდეს-მეთქი.

— მაგალითად?

— ახლა მე დრო არა მაქვს, სკოლაში მეჩქარება, სხვა დროს კი... თუმცა თქვენ, სულერთია, მაინც არ დაიჭერებთ.


მე მეწყინა.

— კეთილი, — განაგრძო მარეკმა, — სხვა დროს იყოს, ოღონდ პატიოსანი სიტყვა მომეცით, რომ არც გაიცინებთ და არც გაიკვირებთ, არც დარიგებას დამიწყებთ. მაძლევთ პატიოსან სიტყვას?

— გაძლევ!

— მაშ, ნახვამდის.

„უცნაური ბიჭია, — ვფიქრობდი მე, — მაგრამ, ჩემი აზრით, ბრიყვი არ უნდა იყოს“.




ერთი კვირის შემდეგ, მოულოდნელად შეგხვდი მარეკს ბელიანსკის პარკში, სადაც ყოველდღე, თორმეტ საათზე ვსეირნობ ხოლმე ნერვების დასამშვიდებლად. საბანწამოხურული მარეკი ფირფიცრის სპილოს ქვეშ, სკამზე იჯდა და ვაშლს მიირთმევდა.

— გამარჯობა, მარეკ, — ვუთხარი მე, — შენ ისევ ძველებურად მყავე სიფათი გაქვს?

— როგორც ხედავთ.

— კიდევ რაიმე ფათერაკს ხომ არ გადაეყარე?



— როგორ არა.

— მაინც, რას?

— გაკვეთილებს ვამზადებდი.

უნდობლად შევხედე: რა, მასხრად ხომ არ მიგდებს-მეთქი?

— გაკვეთილებს ამზადებდი? — გავიმეორე მე, — მერე და, რა არის აქ საფათერაკო?

— კეთილი, გიამბობთ; ოღონდ, ჩვენი პირობა ხომ გახსოვთ?

— მახსოვს.

— მაშინ, მომისმინეთ. ვიღრე მამაჩემს არ ვუბოვნივარ, ჩვენ კიდევ გვაქვს ცოტაოდენი დრო.

— მ ა მ ა ს ?

— ჰო, მამას. გუშინ რვა საათზე სახლიდან გამოვიქეცი. ჩესეკ პაიკერტმა მომცა საბანი, მე კი ბანაკი დავეცი საზაფხულო თეატრის სცენაზე.


— სახლიდან გამოიქეცი?

— ნუ წუხხართ, — კაი დრო გავა, ვიღრე მიბოვნიდნენ.

— და ეს შენ სულაც არ გაწუხებს?

— ფეხი მტკივა. და, მართალი გითხრათ, უკვე მომბეზრდა გაქცევა. თავდაპირველად მინდოდა ვისლაზე გამეცურა ნავით, მაგრამ დილით ჩესეკ პაიკერტი და მისი ამხანაგები შემხვდნენ პარკში. ისინი მეორე ცვლაში სწავლობენ და აქ მოვიდნენ ჰოკით ხტომაში სავარჯიშოდ. ჰოდა, ჩვენ ვივარჯიშეთ ხტომაში, მერე კი შევკამათდით: მან მითხრა, — თეატრის სახურავიდან ვერ გადმოხტებიო. მე გადმოვხტი და ფეხი ვიღრძე. ამის გამო იძულებული გავხდი, ჩემიანებთან მოლაპარაკებას შევდგომოდით. ჩესეკ პაიკერტი გაიქცა იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა სკოლაში და ჩემთან — სახლში.

ყველაფერი რიგზე იყო; შინ საშინლად სწუხდნენ ჩემს დაკარგვას. მამაჩემი ჯილდოს პირდებოდა იმას, ვინც ჩემს ამბავს შეატყობინებდა. მას განცხადებაც კი გამოეკრა:



ჩესეკმა იკითხა, მარეკი სახლში რომ დაბრუნდეს, ხომ კარგად შეხვდებით და დარიგებას ხომ არ დაუწყებთო. მამაჩემი შეჰპირდა: კარგად შეხვდებით და დარიგებას არ დაუწყებთო. ჩესეკმა მოირბინა, ყველაფერი ეს მიაშობ და შემეკითხა: — შემდგომი მოლაპარაკება განვაგრძო თუ არაო. — ჰო-მეთქი, — ვუთხარი მე. ჰოდა, ჩესეკი გაიქცა და მამაჩემს უთხრა, რომ მე ბელიანსკის პარკში ვარ, ფირფიცრის სპილოს ქვეშ ვზივარ, თან წამოიღონ ურიკა, ველოსიპედი ან საკაცე, იმიტომ, რომ მე ფეხი ვიღრძე. ამას გარდა, ჩესეკმა უნდა მიიღოს ასი ზლოტი.

— მარეკ! — აღვფოთდი მე, — ნუთუ თქვენ გინდათ, რომ მამათქვენს ასი ზლოტი გამოსტყუოთ?

მარეკმა წყენით შემომხედა:

— იცით, რა გითხრათ! ჯილდო ჩვენ დავიმსახურეთ. და მერე, ეს ფული ჩვენთვის როდი გვინდა; ჩესეკი აპირებს, — ფული მშობელთა კომიტეტს გადასცეს, რათა ამ ფულით იყიდონ ოცი სადილი ჩვენი კლასის ყველაზე „მკვდარი“ გოგოებისათვის და აჭამონ მათ დამატებით.

— რატომ მხოლოდ გოგოებისათვის? — გავიკვირვე მე.

— იცით, რაშაა საქმე, — ეს სადილები არც ისე გემრიელია, ჩვენი გოგოები კი ისეთი საზიზღრები არიან, რომ სწორედ ასეთი საჭმელია მათზე ახი.

— როგორც ვატყობ, თქვენ გინდათ გაამწართ გოგოები? ვერაგი ხალხი ხართ!

— მაგრამ გოგოები ხომ ამით არაფერს არ კარგავენ. განა ცუდია, რომ ჩვენ გვინდა დამატებით გამოვკვებოთ

ისინი? ეს კეთილ საქციელადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

— მაგრამ, თქვენ ხომ კეთილი განზრახვით არ სჩადიხართ ამას!

— როგორღაც ხომ უნდა ვებრძოლოთ გოგოებს, — ამოიოხრა მარეკმა, — და, რაც მთავარია, თქვენ ხომ პირობა მომეცით, რომ მორალს არ წამიკითხავდით.

— ასეთი საქციელისათვის რომ შეგაქოთ, ესეც არ შემიძლია.

— რატომ უნდა შეგვაქოთ, შეგიძლიათ გაგვლანძლოთ კიდევ, მხოლოდ — გულში. თორემ, აბა როგორ უნდა გაიმბოთ, რა მოხდა შემდეგ?

— კარგი, კარგი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იქნებ ის მაინც მითხრა — რატომ გამოიქეცი სახლიდან?

— სახლში ისეთი საშინელი ამბები მოხდა... არ შემიძლო იქ დარჩენა.

— საშინელი?

— ხომ გითხარიო.

— თქმით კი მითხარი, მაგრამ... უნდა გამოვტყდე — კარგად ვერ გავიგე... რა შუაშია აქ გაკვეთილების მომზადება?

— თქვენ ოღონდ ყური დამიგდეთ... იქნებ ყველაფერი თავიდან მოგიყვებო, — როგორი მდგომარეობა გვაქვს სახლში, რა ხდება ჩვენთან... ოთახში, სადაც მე მძინავს, სძინავთ კიდევ პან ფანფარას (იგი გამოდის რესტორანში) და ჩემს ბიძაშვილს — ალექს, — სპორტსმენს. ჩვენი საძინებელი ოთახი უცნაურად გამოიყურება. ერთ კუთხეში ჰკიდია სავარჯიშო ტომარა და ალექსის კრივის ხელთამანები, მის საწოლთან მთელ კედელზე მიკრულია შეჯიბრებების ფორტოსურათები, მოპირდაპირე კედელზე კი ჰკიდია საქსაფონი და ვიოლონჩელო, სკამზე გადაფენილია კოვბოური კოსტუმი, რომელსაც რესტორანში გამოსვლისას იცვამს ხოლმე პან ფანფარა.

— მოწყობილობა, რასაკვირველია, არც ისე ჩვეულებრივია, მაგრამ განა სხვა ოთახში არ შეგიძლია გაკვეთილების მომზადება?

— არა. მართალია, ჩვენ სხვა ოთახიც გვაქვს, მაგრამ იქ უარესია: იმ ოთახში ამზადებენ გაკვეთილებს იაძია და კრისკა, მე კი გოგოებთან არ შემიძლია წვივიან, კივიან, ჩხუბობენ; მაშინვე თავი ამტკივს ხოლმე. მამამ მითხრა, — შენს ოთახში იმეცადინეო. ჩემს ოთახში უფრო სიწყნარია. დღე, თორმეტი საათის შემდეგ, ალექი კლუბში მიდის სავარჯიშოდ; პან ფანფარა კი ყურსაცვამს იკეთებს და დასაძინებლად წვება; ჰოდა, მამაჩემი მეუბნება, სწორედ ამ დროს შეგიძლია დამწვიდებით მოამზადო გაკვეთილებიო. მაგრამ ეს არც ისე იოლია, გეფიცებით! განსაკუთრებით ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ბოროტი ბედისწერა სდევს უკან.

— რა სისულელეს ამბობ.

— კარგი, ბედისწერას ნუ ვიტყვით, რაც გინდათ, ის

დაარქვით... სხვა ბავშვებიც ხომ ამზადებენ გაკვეთილებს, სადაც მოუხდებათ — იქ. ზოგიერთს, საერთოდ, არა აქვს საკუთარი ოთახი, მაგრამ გაკვეთილებს მაინც ამზადებს... მე კი მაშინვე რაღაცა რომ არ შემემთხვეს — არ შეიძლება; გინდა თავი მოიკალ, — მაინც ასეა. აი, მაგალითად, კორნიშონის გასაძრევი ადგილიც კი არა აქვს და ამხანაგებთან დადის გაკვეთილების მოსამზადებლად, ხან კი, დაჯდება ავტობუსში და წინ და უკან დაქრიალებს — მას მუდმივი ბილეთი აქვს — და ავტობუსში ზუთხავს გაკვეთილებს.

— აბა რას ამბობ, მარეკ... სკოლის წითელი კუთხე? განა იქ არ შეიძლება მეცადინეობა?

— წინათ შეიძლებოდა, ახლა კი — არ შეიძლება. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ წითელ კუთხეში მეხანძრეები ბავშვებს საყვირზე დაკვრას ასწავლიან. მეხანძრეებმა აიღეს მათზე შეფობა და ბავშვებს, მოწყენილობის გამო რომ არ იხულიგნონ, ტრომბონებზე დაკვრას ასწავლიან.

— ეს ძალიან კარგი საქმეა.

— ყველა ასე ამბობს, მაგრამ წითელ კუთხეში გაკვეთილების მომზადება მაინც არ შეიძლება. ბიჭები მაინც ახერხებენ გაკვეთილების მომზადებას, თვით გნიბკოვსკიც კი... მათს სახლში ოთხი პაწაწინა ბავშვია... ო, ისეთები არიან, მთელი დღე ჩხუბის მეტს არაფერს არ აკეთებენ, და კიდევ ერთი მდგმური ჰყავთ — ბოშა. კარგი იქნებოდა, რომ ეს მაინც მშვიდად მჯდარიყო, მაგრამ — ნურას უკაცრავად! იგი ტაფებს აკეთებს, დილიდან საღამომდე ისმის რაკა-რუკი და ყლრიალი. მაგრამ გნიპკოვსკი მაინც როგორღაც ამზადებს გაკვეთილებს. ჩემთან კი, სახლში, თითქოს სიწყნარეა, არც პაწაწინა ბავშვები არიან, არც ბოშა-მდგმური გყავს, მაგრამ როგორც კი მივუჯდები გაკვეთილებს, იმწამსვე იწყება ყოველგვარი ბითურობა. აი, გუშინ ისეთი ფათერაკი გადამხდა, რომ თავი ვერ შევიკავე. ახლავე გიამბობთ დავწერილებით.

გუშინ პან ფანფარამ ვარჯიში ჩვეულებრივზე გვიან დაამთავრა. უკვე ექვსი საათი იყო, როცა საქსაფონს მოეშვა, გაიხადა, ყურსაცვამი გაიკეთა და დასაძინებლად დაწვა. მე მაშინვე მივუჯექი მაგიდას და გაკვეთილების მომზადებას შევეუდექი. მამაც შემოვიდა. ეტყობა, საღდაც ეჩქარებოდა და პალტოს გზა-გზა იკრავდა. შემოვიდა და მაშინვე დამისვა ო. ავისი საყვარელი კითხვა:

— მარეკ, გაკვეთილები მოამზადე?

— როგორ უნდა მემეცადინა, როცა პან ფანფარა ზედ ჩემს ყურთან აყვირებს საყვირს. ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ასეთ ხმაურში შეიძლება მეცადინეობა!

— ყურებში ბამბა უნდა დაგეცო.

— ბამბამ ყურების ქავილი იცის და ველარ ვაზროვნებ. თვით პან ფანფარაც კი არასოდეს არ იცობს ბამბას ყურებში, მხოლოდ ყურსაცვამს იკეთებს.

— მაშინ, პან ფანფარასთვის გეთხოვა ყურსაცვამები, — მითხრა მამამ, — მას ალბათ სათადარიგოც ექნება.

მე თავი გავიქინე:

— პან ფანფარა არასოდეს არავის არაფერს არ ათხოვებს — არც ყურსაცვამს, არც ვიოლონჩელოს. რამდენჯერ მოვიდა მასთან ნაცნობი მუსიკოსი და თხოვა — ვიოლონჩელო მათხოვეო, მაგრამ პან ფანფარა ყოველთვის უარით ისტუმრებდა: ვიოლონჩელო გაფუჭებულიაო. დღეს კი მითხრა, რომ თუ პან ცედური კიდევ მოვა სათხოვნელად, როგორმე გააბრუნეო. მაგალითად, უნდა ვუთხრა, რომ პან ფანფარა ტიფითაა ავად, ან... — მე მინდოდა ამბის გაგრძელება, მაგრამ მამაჩემი გაბრაზდა.

— კარგი, კარგი. გირჩევნია, გაკვეთილებს მიხედო. მე რვა საათისათვის დაგბრუნდები და ყველაფერს შევამოწმებ. დღეიდან ყოველ საღამოს შეგამოწმებ. დედას, რასაკვირველია, ამისათვის არა სცალია, მაგრამ მე, ძვირფასო ჩემო, ამ საქმეს ხელს მაგრად მოგვიდებ! მომწყინდა მასწავლებლების წინაშე გაწითლება. ერთ მეოთხედში ოთხი ორიანი! ეს უკვე მეტისმეტი მოგივიდა. შენს გამო დედა ავად გახდა და სანატორიუმში გავგზავნე.

აქ კი ველარ მოვითმინე:

— ჩემს გამო კი არა, დეიდა დორას გამო გახდა ავად. დედამ თვითონა თქვა, რომ ყველაფერში დეიდა დორას აბებია დამნაშავე.

მამამ უხერხულად ჩაახველა:

— რა მნიშვნელობა აქვს ამას? სულერთია, მე მაინც ამოგდებ ლავამს. კმარა უსაქმურობა, გესმის?

— მესმის, მამა.

— ჰოდა, კეთილი! — მკაცრად თქვა მამამ.

საათმა ექვსჯერ დაპკრა. არ ვიცი, რატომ და, ძილი მომიწდა. დავამთქნარე და უგულოდ შევეუდექი სახელმძღვანელოების ფურცელს. ამ დროს ზარმა დაარეკა, ფეხის ხმა და სიცილი მოისმა კარებს იქიდან. ოთახში ოთხი ბიჭი შემოიჭრა, ერთს ბურთი ეჭირა.

— სალამი, მარეკ! — დამძახეს, — რატომ ფეხბურთზე არ მოდიხარ? აბა ჩქარა, მოემზადე!

— არსადაც არ მივდივარ, გაკვეთილები უნდა მოვაშხალო.

— აი, ტიპი! გაკვეთილების მომზადებას აპირებს! — აყაყანდნენ, — ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ეჯობნათ ყვირილში.

უპ, როგორ ხმამალა ყვიროდნენ!

— წყნარად, — ჩურჩულით ვუთხარი მე, — პან ფანფარა არ გააღვიძოთ, თორემ ის გიჩვენებთ სეირს.

მხოლოდ ახლა შენიშნეს, რომ ოთახში ვილაცას ეძინა და ფეხის წვერებზე მიუახლოვდნენ პან ფანფარას.

— ვა, ეს რა ტიპია? — შემეკითხა აყლაყულა იანეკი.

— პან ფანფარაა, ჩვენი ახალი მდგმური.
 — ღლე რატომ სძინავს? — მეკითხება იანეკი.
 — აბა, მაშ როდის უნდა დაიძინოს? — ვეუბნები, —
 ღამე რესტორანში გამოდის, დილით კი ვიოლონჩელოზე
 ვარჯიშობს.
 — რა, არტისტი?
 — ჰო, არტისტი.
 — ეს რა ჯაგრისებია? — ჩაიხითხითა იანეკმა და სა-
 ვარძლიდან ორი თითით აიღო პან ფანფარას ულვაშები.
 გაბრაზებულმა გამოვტაცე ხელიდან.
 — ჯაგრისები კი არა, პან ფანფარას ულვაშებია.
 — ულვაშები?! — გოცებით გადახედეს ერთმანეთს
 ბიჭებმა.
 — პან ფანფარა რესტორანში გამოდის, როგორც მე-
 ქსიკელი, შავი ულვაშები სჭირდება...

— და ასეთი ქული? — იანეკმა პან ფანფარას სომბ-
 რერო დაიხურა და სარკეში აათვალიერ-ჩაათვალიერა
 თავისი თავი.

— დიახ, — ვთქვი მე და ვცდილობდი სიმშვიდე შე-
 მენარჩუნებინა, — ამ ქულს სომბრერო ჰქვია. ასეთი გა-
 ნიერფარფლებიანი ქული სამხრეთის მზისაგან იფარავს
 სახეს, „სომბრა“ ესპანურად ნიშნავს „ჩრდილს“.

— ჰოო, — ჩაიცინა აყლაყულა იანეკმა, — აი, ქულიც
 ამასა ჰქვია! ასეთი ქული რომელიღაც ფილმში ვნახე. ეი,
 მარეკ, ყურსაცვამები რატომღა უკეთია შენს პან ფან-
 ფარას, თუ ესეც ესპანურია?

— ტუტუტუ! ყურსაცვამებით იმიტომ სძინავს, რომ
 არაფერი არ გაიგონოს. სხვანაირად ვერ იძინებს.

— ასეთი მგრძნობიარეა?

— ჰო, ძალიან მგრძნობიარეა, — ამოვიოხრე მე, —
 ახლა კი წადით.

ამის საპასუხოდ, ავაზაკმა იანეკმა ხელი სტაცა საქსა-
 ფონს და ზედ პან ფანფარას ყურთან ჩაჰბერა, რაც ძალი
 და ღონე ჰქონდა. პან ფანფარა გიჟივით წამოჯდა ლოგინ-
 ში, გაოგნებულმა მოავლო თვალი იქ მყოფთ და ბალიშ-
 ზე მორივით დავარდა.

— უქნარები! — დავიყვირე, — გაეთრიეთ აქედან!

საბედნიეროდ, მათი გაგდება აღარ დამჭირდა, შეე-
 შინდათ და თვითონვე მოკურცხლეს. ისევ გაკვეთილებს
 მივუჭექე, მაგრამ ძლივს მოვასწარი რვეულში თარიღის
 დაწერა, რომ ფანჯრიდან ხმამალალი ყაყანი მომესმა. მა-
 შინვე მივხვდი: ჩესეკი და გუესეკი იყვნენ, — ისინი ყო-
 ველთვის ასე მეძახდნენ. — რამდენიც უნდათ, იმდენი
 იყაყანონ, — გავიფიქრე გულში, — ადგილიდან მაინც
 არ დავიძრები, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოვამზადო
 ეს ოხერი გაკვეთილები-მეთქი. ვხედავ, ფანჯრის რაფაზე
 შემოყვეს ხელები, მე ვზივარ და არ ვინძრევი. ჩესეკი
 მომიახლოვდა და მეკითხება:

— ხომ არ დაყრუვდი, მარეკ? რამ გაგაქვავა?
 — გასწით აქედან, — ვეუბნები, — არა მკალია, გაკ-
 ვეთილებს ვამზადებ.

— ნუ სულელობ, — იცინის გუესეკი, — ჩვენ რწყი-
 ლები მოვიყვანეთ, ჰო, ის რწყილები...

— რწყილები?

— ჰო, რწყილები; ხვალ ხომ მეშვიდეკლასელებს
 უნდა შევუვლოთ; რა, დაგავიწყდა?

არ დამვიწყნია! მართალი იყო. ასე შევეთანხმდით. გუ-
 შინ, არითმეტიკის გაკვეთილზე, მეშვიდეკლასელებმა მა-
 ისის ხოჭოები შემოგვიყარეს კლასში, საშინელი აყალ-მა-
 ყალი ატყდა: მასწავლებელს ეგონა — ეს ჩვენი ხელობა
 იყო. ჰოდა, გადავწყვიტეთ — შური გვეძია... მაგრამ მე
 ისეთი სახე მივიღე, თითქოს არაფერი არ მახსოვდა.



— ჩვენს ეზოში ყველა ძალი გაგჩხრიკეთ, — მი-
 თხრა გუესეკმა, — ამ სინჯარაში ასხუთი რწყილი გვეყავს.
 მეტი ვერ შევავროვეთ. როგორ ფიქრობ, გვეყოფა? —
 და კინლამ ცხვირი ჩამაყოფინა შუშის სინჯარაში.

— რასაკვირველია, — რასაკვირველია, გვეყოფა! —
 ჩაიბურტყუნე მე.

— შენ როგორ ფიქრობ, არ დაიხოცებიან ხვალამ-
 დე? — დაეჭვდა ჩესეკი.

— რა დახოცავს?

— რა და — შიმშილი.

— არა მგონია, რწყილები გამობრძმედილი ხალხია!

— სინჯარას რა დაუცავით?

— საცობი.

— ბამბა სჯობდა, — ვუთხარი მე, — ბამბა ჰაერს ატ-
 არებს.

— მართალია, — გაეხარდა ჩესეკს, — მოიტა ბამბა.
 შენ კი, გუესეკ, საცობი ამოაძრე, ოღონდ ფრთხილად,
 რწყილები არ ამოხტენ.

(ბაბრქილია ზემდეზ ნომერი)

ტანისამოსის ტაგვალსაპლი



ტანისამოსი ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია.

სანამ კაცობრიობა თანამედროვე სამოსის დახვეწილ, განვითარებულ ფორმებს მი-აფრებდა, მან ტანისამოსის ფორმების ძიების შრავალსა-უქუნოვანი გზა გაიარა.

პირველყოფილ ადამიანს, საცხოვრებელ ბინას და საცვე-ბის მოპოვებაზე ზრუნვისთან ერთად, გაუჩნდა სიცივისაგან სხეულის დაცვის მოთხოვნი-ლება. სწორედ ამ მოთხოვნი-ლებამ მიიყვანა ადამიანი სა-მოსად ცხოველთა ტყავის გა-რეცხვამდე. ასეთი სამოსი, როსაკვირველია, ნაკლებად მო-სახერხებელი იყო. შემდეგში ადამიანმა ისწავლა სამოსის დაწვენა ზოგერთი მეცნიერისა-განაც კი. უფრო გვიან მან ამ მიზნით გამოიყენა სელი, კანაფი, ბატუკი. ასეთი სამოსი უფრო მოსახერხებელი იყო შრომისა და ნაღობების დროს.

ტანისამოსის ფორმის ეს მნიშვნელოვანი ცვლილება და ნაპირობა მეცხოველოებისა და მიწათმოქმედების განვითარე-ბამ.

ადამიანს თანდათან უჩნდე-ბა ტრანსცეპლთან დაკავშირე-ბული ესთეტური მოთხოვნი-ლობანი; იგი იწყებს ზრუნვას ტანისამოსის სილამაზეზე, მისი თარვის თავისებურებაზე, მი-წოდებულ ფერზე, ფერთა შე-ხამებაზე...

ასეთი სამოსი ფარავდა სხე-ულის სილამაზეს, მაგრამ ადამიანს ანიჭებდა ძლიერ და დიდებულ შესახედაობას. იგი ხშირად იმდენად რთული და გადატარებული იყო, რომ ბო-ჭედა ადამიანის მოძრაობას. ასურულ სამოსად ითვლება ეგრეთ წოდებული **ხოფთანი** (რუს. кафтан), რომელსაც იცემდნენ როგორც კაცები, ისე ქალები.

ძველი წვლთარიცხვით VI საუკუნეში, წინა აზიში მტკიცედ იყოდგენ ფეხის სა-რსელები, რომელთა შორის — შარვალი, ხოფთანი, პატარა ზომის მოსასხამი — ვრცელდებ-და სპარსეთის მეზობელ ქვე-უნებში. ეს ტანისამოსი ეცვათ კაცებსაც და ქალებსაც. იგი ძალიან მოსახერხებელი და პრაქტიკული იყო, კარგად იცავდა ადამიანს სიცივისაგან.

ტანისამოსის განვითარების ისტორიაში მეტად მნიშვნე-ლოვან და, შეიძლება ითქვას, მაღალ საფეხურს წარმოადგენს ბერძნული და რომაული კო-სტუმები. კაცობრიობა, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტა-პზე, მიმართავდა ბერძნულ-რომაულ ჩაცმულობას, ვინაი-დან იგი სამოსის სრულყო-ფილ ნიმუშად მიჩნდა.

ბერძენთა სამხედრო გამა-რჯებებში, ზოგიერთი ბერ-ძნული სახელმწიფო-ქალაქის დემოკრატიული წყობილებამ თავისი გამოხატულება პოვა ხელოვნებაში, კერძოდ, ჩაცმუ-ლობაში. საბერძნეთში ფიზი-კურად განვითარებული, ლა-მბო სხეული იდეალად ით-ვლებოდა; ბერძნული ჩაცმუ-ლობა ხაზს უსვამდა ტანის ნაკეთების სილამაზეს, მიალა-

ელები სამოსისათვის აზრდე-ბენ აბრეშუმის უძვირფასეს ქსოვილებს, ჭკმინან დიდებულ სამოსს იმპერატორისათვის, აგრეთვე თანამდებობის პირ-ათვის. ეს სამოსი გავრცე-ლდა ბიზანტიის მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებში.

დასავლეთ ევროპაში X-XII საუკუნეებში გაბატონებულია ეგრეთ წოდებული რომაული **სტილი**. ეს სახელწოდება მი-უთითებს რომის კულტურული ტრადიციების გარკვეულ მე-კვერულობაზე. ამ სტილის-თვის უტყობა სამკაულადობა, მას ახასიათებს მონუმენტუ-რობა, მთლიანობა. რომაული ტუნიკა და მოსასხამი „**მანე-რა**“, — რომაული კოსტუმის ხელმძღვანელია. XII-XV საუკუ-ნეებში რომაული შეცვალა **გოთურმა სტილმა**. ამ ახალი მიმდინარეობისათვის დამახა-სიათებული იყო სამკაულადო-ბა, უარესი სინატიფე და უც-ნალოვანი მიმდინარეობის ნაყოფია სახელწოდება **ჟაკეტი**, წარმომდგარი ჟაკე-დან (ჟაკი იმ დროს ფრანგ გლეხს ერქვა), და **პალტო**, — მოკლე და უბრალო მოსასხამი.

XIV—XVI საუკუნეებში ბუ-რგუნდის მნიშვნელოვანმა გ-ძოვრებამ განაპირობა ახალი, მძლავრი კულტურული მიმდი-ნარეობა, რომელიც აღორძი-ნების (რენესანსის) სახელითაა ცნობილი. რენესანსმა განსა-კუთრებით მკაფიო სახე მიიღო იტალიაში. რენესანსის ხელო-ვნებისათვის დამახასიათებელია ადამიანისადმი მძაფრი ინტე-რესი, მისი გამოსახვა რეალი-სტურად — განსხვავებით ქრი-სტიანული ხელოვნებისაგან. რენესანსის დროინდელი კო-

ურმა პაჩიზმა გარეგნულადც იცვალა კლდევი. ხალხის ფა-რითა მასა ამ დროს იცემდა გრძელ შარვალს, არისტიკარა-ტების მოკლე შარვლის — **ცო-ულოცისაგან** განსხვავებით; იცემს კურტაკს — **გარშანი-ლოხას**, რეალუციური სიმლე-რის პატრესაცემად; თავს იბ-ურავს ფრიგიულ-სპარსული ქულის მსგავსი თავსაბურავით.

1804 წლიდან შემოიღის ახა-ლი სტილი — **შაჰრი** (ფრანგუ-ლად — ანგურია), რომელიც იყენებს იმპერიის ხელოვნე-ბის ნიმუშებს. მას ახასიათებს სისალავე და უბრალობა.

კოსტუმის განვითარების სა-ქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა — ინგლისმა. XVIII საუკუნის დამლევს მსხვილმა მრეწველობამ ყველაზე საგ-რძინობი განვითარება პოვა ინგლისში. პირველად აქ იქნა გამოგონებული საქსოვი მანქა-ნები. ევროპისათვის ინგლისი ახალი ყაიდის ჩაცმულობის ნიმუშადაც იქცა. XVIII საუ-კუნის დამლევს ინგლისში მო-ხდა ევროპული კოსტუმის ძი-რეული რეფორმა, — ფრანგუ-ლი ხიფთანი გამარტივების შედეგად გაჩნდა ხიფთანის ახე-ლი სახეობა — **ფრაკი**, სამკუ-თხა ქულები შეცვალა მრგვა-ლი ფორმის პოლანდორმა ქუ-ღმა და ჩრდილოეთ ამერიკი-დან შემოტანილმა ცილინდრმა. გაჩნდა უსახელო, მოკლე ყი-ლოტიც. ფრაკთან ერთად ხმა-რაში შემოვიდა **რედინგტი**.

XVII საუკუნის ფრანგი მწიგნობრის ჩაცმულობა

რომაული — ბურგუნდის ტიპი



ქრისტიანული და მამონტიანი შერეული ტიპი

ბავარიისა და რომელიც ლის სახის — სტილი

მედიკალინური მწიგნობრის ჩაცმულობა

რომაული ბიზანტიის ტიპი

სპარსული კაბის ტიპი

ბავარიისა და რომელიც ლის სახის — სტილი



სამოლო წარბაზი



სამოლო წარბაზი



სამოლო წარბაზი



სამოლო წარბაზი

რომელიც წარბაზადგინდა თანამედროვე პალტოს წინაპარს და რომელსაც იცვამდნენ ქალებიც.

ამ მოდამ ფართო გავრცელება პპოვა ევროპაში. XVII-XVIII საუკუნეებში რუსეთში საზოგადოების ქვედა ფენას (ძირითადად გლეხებს) ეცვა წინაგვილი, ქაშაშემორტყმული ხიფთანი, გალაკეთის საყულოთა, და შარვალა. ხიფთანი შეიქმნა იცვამდნენ პერანგს, ფეხზე — ქალამებს ან ჩექმებს; ზამთარში იცვამდნენ ცხვირს ტყაუკუს.

ქალის ძველ რუსულ ჩაცმულობას წარმოადგენდა პერანგი, რომლის ზემოდან იცხვეწებოდა წინიდან ლილბით დასაყრვე ხარაფანს. ზამთარში, ამასთან ერთად, ქურქს ხმარობდნენ. თავს იბურავდნენ ფერადი ქსოვილისაგან შეყერილი ქუდიით.

საზოგადოების ზედა ფენას ეცვა პერანგი, პერანგზე — ვიწრო, ვრცელსახელოებანი ხიფთანი, რომელიც ძირითადად ფარისაგან იყვებოდა. ხიფთანი ზემოდან ხშირად იცვამდნენ ე. წ. ფერაზს. ფერაზი მზადდებოდა აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილისაგან. იგი წარმოადგენდა ფართო, უქაშრო, წინ ვაკვირლ და ვრცელსახელოებანი ხიფთანი. თავზე ეტურა მალაი ბეჭვის ქუდეები. ეს ჩაცმულობა ძალზე მდიდრული და ფერადოვანი იყო.

რეტე პირველის დროს, ძველი რუსული ჩაცმულობის ნაცვლად, შემოღებულ იქნა დასავლეთ-ევროპული კოსტუმები. თანამედროვე კოსტუმში განსახიერებულა ისტორიული კოსტუმის ზოგიერთი მიღწევა. იგი შედარებით მარტივი და სარაა... — მაგრამ პრაქტიკული, ეკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, ხელს უწყობს ტანის სილამაზის გამოვლენას.

კოტა ვაჩერუშვილი

სტრით ხელს უწყობს დამოუკიდებელი მოძრაობებისა და სიდიადის გადმოცემას. ამ დროს პერანგის ზემოდან იცვამენ მოკლე და მჭიდრო, წყლთან დაფორმებულ, მკერდზე ზემოდან გადახიერიებულ ქაშაშეობს, მოკლე შარვალს, ვრცელ წინებებს, მოსასხამს და ხიფთანს, თავს იბურავენ სხვადასხვა ფორმის ბერეტით.

რენესანსის შემდეგ, ევროპაში ტანისამოსი სხვადასხვა ფორმის ძიების გზა გაიარა, ეს ეპოქა (XVII—XVIII საუკუნეები) ხასიათდება ჩაცმულობის ვასოცარია, უცნაური ფორმებით, რომელშიც, ერთის მხრივ, ჩანს გამოვლენის დახვეწილობა და ფუფუნება, ხოლო მეორეს მხრივ — ზემოდან გადატვირთვა სავსებით გაუმართლებელი დეტალებით.

სულ ახალი და ახალი მოდით გატაცებული საზოგადოების ზედა ფენა უხვად ხარავს ფულს ტანისამოსის ახალ ფასონებში. ამ მხრივ აღინაშნავია ფრანგული მეფეების ლუი XIII და ლუი XIV ეპოქა. ამ დროს ჩაცმულობათული და მძიმეა, სტრატეგული მოუხერხებელი; იგი აღამიანს ზედუდას მოძრაობის დროს, თავისი ნახვებითა და ფორმებით გაზვიადებულია. რასაკვირველია, საზოგადოების დაბალი ფენის სამოსი ბევრად უფრო მარტივია, რადგან ხალხისათვის ტანისამოსი ფუფუნების საგანი არ წარმოადგენს.

1789 წლიდან რევოლუცი-

ვდა მის ხალოვდა მხარეებს, ვინცის ჩაცმულობა წარმოადგენდა ე. წ. ქიტონი (კვართი), რომელიც დღევანდელი პერანგისმაგვარი სამოსის იყო. ზემოდან იცვამდნენ მისასხამებს — ჰიმანონს ან პალიუმს. ბერძნულ სამოსს მიმხიდვლობას ანიჭებდა ნაოქების დეკორატიული თამაში მოძრაობის დროს. შემდეგში, IV-III საუკუნეებში (ძველი წელთაღრიცხვით) ბერძნული ტანისამოსის ეს ღირსებები შეცვალა მორთულობის გადატვირთულობამ, გახვევებულობამ.

რომაული კოსტუმები შედგებოდა ბერძნული ქიტონის-მაგვარი ტუნისისა და მისასხამისაგან, რომელსაც ტოკა ეწოდებოდა. ტოკის ტარება რომაელი მოქალაქისათვის სავალდებულო იყო საზოგადოებრივ დაწესებულებებში: სამართალში, ტაძარში, ფორუმში... ქალებს ტუნისმაგვარი სამოსი, ე. წ. სტოლა ეცვდა. გათხოვილი ქალები, რომლებსაც სტოლა არ ეცვათ, კანონი არ იცავდა შეურაცხყოფის მიყენების შემთხვევაში.

ბარბაროსების მიერ რომის სახელმწიფოს დაწარგვის შემდეგ (V საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით) ანტიკური ტრადიციების შემკვიდრებ, კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაში (1453 წელი), ბიზანტიის ამჟერაი ითვლებდა. სწორედ ამიტომ, პირველ ხანებში ბიზანტიური სამოსი არც ეი განსხვავდებოდა რომაულისაგან. ბიზანტი-



ბალო წინი ფრანგი ლუიზი, ამბიოისი, ბიტი სანსონი.

სალონის კოსტუმები დაყოფის შედეგად, უკანა შემოღებული ჯგუფი ზრუნავდა ტანისამოსის უწყვეტი ქსოვილისაგან დამზადებაზე, მის მდიდრულად მორთვებზე, ახალი და რთული თარგის შექმნაზე.

თანდათან თავისებურ, თავისთავად ნიშნებს იძენს ამა თუ იმ ხალხის სამოსი; დროთა განმავლობაში ერთმანეთისაგან ვიანხვავდა ქალისა და კაცის სამოსიც.

ჯერ კიდევ ხუთითათსი წლის წინათ, საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოები ევროპტეში, მცირე აზიაში, ჩინეთში, ინდოეთში... ძველი ევგვიპტური სამოსი გასაოცრად ნატივით, მარტივით და ამავე დროს მონუმენტური. ევგვიპტელები იმოსებოდნენ წინადავით, რომელსაც შენტი ეწოდებოდა. იგი წელზე მიკრდებოდა და ხშირად კომპლექსურ წველებს აღამიანს. მხრებს იმოსავდნენ სამოსით, რომელიც მკერდთან იკვანძებოდა ან მაგრდებოდა. ქალები იცვამდნენ ელასტიკურ კაშას (კალაზირისი), რომელიც მკვიდროდ ეტმასნებოდა ტანს და აჩნდა მის სინტიფესს. სამოსისათვის არჩევდნენ ცისფერ, თეთრ, წითელ ქსოვლებს. დადიოდნენ ფეხშიშველა ან ტარავსა და მცენარისაგან გაკეთებული სანდლებით.

თუ ევგვიპტური სამოსი, ვაპრობებული ადგილობრივი კლიმატით, ვარკვეულად უწყობდა ხელს ტანის სილამაზის გამოჩენას, ტერგოსისა და ევფარტის აუზში, შუამდინარეთის მკაცრმა, არათანაბარმა ჰავამ განაპირობა მეტად თავისებური სამოსი. ბაბილონელებს შემოგვრავნილი მოსასხამები ეცვათ. ასურელთა სამოსი მზადდებოდა მძიმე და უხეში ქსოვილისაგან. მართალია,

ბუნი შობისის სამოსი.

კრამბოლისა და გრძელ კრამბოლის კოსტუმები.

შენების შემოსილი მამაკაცი.

ბაბილონელი ამბიერარის ჩაცმულობა.



ა რავალი საუკუნის ისტორია აქვს ორატორულ ხელოვნებას. იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცოცხალი სიტყვის ხელოვნებამ განსაკუთრებით ფართო განსაქმნა საბერძნეთში. ორატორული ხელოვნება საბერძნეთის პარალელურად ვითარდება რომში. რომაულ მჭერმეტყველებაში პირველი სიტყვა ეკუთვნის კატონს. ბოლოს გამოჩნდა ცივილიზებული მსოფლიოს უდიდესი ორატორი ციცირონი (106-43 წ. წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე).

დღემდე ჩვენს სკოლებში თავისუფლად გრძნობს თავს ერთი მანერე ჩვევა — ზეპირად მოსწავლემ შეიძლება მხოლოდ ლექსი თქვას, სიტყვა კი აუცილებლად უნდა წაიკითხოს. ასე მიდის იგი მეთერთმეტე კლასამდე. ამ გზას არც სტუდენტობის დროს ღალატობს და იძულებულია, თვალზე ფურცელფარებულმა იაროს მთელი ცხოვრების მანძილზე. ზეპირი მეტყველების დროს სიტყვა გაცილებით მეტ ემოციურობას, სიცხადეს და დამაჯერებლობას იძენს, ვიდრე დაწერილის წაკითხვისას. ამ უპირატესობას მრავალი პირობა

ამ მხრივ გაემიჯნება იგი ავტორს, მაგრამ შინაარსის საკუთარ სიტყვებით გადმოცემის გარკვეული წესი კი მოეთხოვება. ამ გადამწყვეტ მომენტში მოსწავლეს, ჩვეულებრივ, არ ჰყოფნის ხოლმე სიტყვების მარაგი, მწერლის აზრის ათვისების უნარი, იძულებულია ტექსტი ზეპირად ისწავლოს და სიტყვა-სიტყვით გადმოსცეს ისე, როგორც წიგნში წერია. ამ დროს იგი აზრს, შინაარსს კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ მის გარეგან მხარეს — ფორმას, მექანიკურად იზეპირებს წინადადებებს. მივა სკოლაში, სხაპასხუპით მოჰყვება გაკვეთილს და ყველაფერი ამით მთავრდება. მის მეხსიერებაში ამ ნაწარმოების კვალიც კი არ რჩება.

ძ ლ ე ვ ა ე ო ს ი ლ ი ს ი ტ ყ ვ ა

ორატორული ხელოვნების ისტორიაში ახალი სიტყვა თქვეს მარქსიზმის კლასიკოსებმა. მაგიური ძალა ჰქონდა დიდი ლენინის სიტყვას. რევოლუციის განუმეორებელი ტიტანი ლაპარაკობდა უბრალო ენით. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სიტყვის სიცხადეს და დამაჯერებლობას. მიდლარი და მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს ქართულ მჭერმეტყველებას. ჭირის უამსაც არ კარგავდა ქართული სიტყვა სილამაზეს და სიმჭევრეს. თამარ მეფემ შამქორის ომის წინ ქართველ მხედრობას ურუანტელის მომგვრელი სიტყვით აუწყა მოსალოდნელი უბედურება, შთაგონა სამშობლოსათვის თავგანწირვა და ნუგეშით ადავსო ყოველი მეომრის გული. მრავალგზის ჭირნახული ქართული სიტყვით ევედრებოდა დახმარებას დაჩოქილი სულხან-საბა საფრანგეთის მეფეს — ლუი მეოთხემეტეს. მჭერმეტყველების მაღალი კულტურა მუდამ მხარს უმშვენებდა ჩვენს ეროვნულ დამწერლობას. სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენში ძალიან დაქვეითდა ზეპირი მეტყველების დონე, შენედა მისადმი ინტერესი. რა თქმა უნდა, ყველაფერი — ავიც და კარგიც — სკოლიდან იწყება; ნამდვილი ორატორული ნიჭი და გაქანება სხვა საქმეა, მაგრამ თანამედროვე კულტურულ ახალგაზრდას უნდა შეეძლოს აზრის ზეპირად ჩამოყალიბება, მისი მკაფიოდ, ცოცხლად და ლამაზად გადმოცემა.

განსაზღვრავს. მეტყველების დროს ადამიანი იყენებს მთელ რიგ დამხმარე საშუალებებს: უესტს (ხელების მოძრაობა), მიმიკას (სახის ნაკვეთების მიმოხვრა), ხმის ტონალობას (საჭიროების მიხედვით ხმის აწევ-დაწევა) და სხვ. ყოველივე ეს განუზომლად ზრდის ზეპირად ნათქვამი სიტყვის ზემოქმედების ძალას. მსმენელი აზრსაც ისმენს და მჭერმეტყველების ხელოვნებითაც ტკებება. ქართულ სიტყვას დაუღვევილი შესაძლებლობა აქვს. მას შეუძლია ხელოვნების ყველა დარგის შესაფერად მიმოქცევა. ტყუილად როდი ამბობდა ჩვენი დიდი წინაპარი იოანე-ზოსიმე: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. დამარხულისა და მიჩქმალულის აღმოჩენას რომ თავი დაეანებოთ, ზოგიერთი ჩვენი მოსწავლე მხამზარულ სიტყვასაც ავღებულად და უყურადღებოდ ეკიდება. გამართული ზეპირი მეტყველება კი უშუალოდაა დამოკიდებული სიტყვების მარაგზე, მრავალფეროვან ლექსიკაზე. ზეპირი მეტყველების პროცესი, მისი პირველი საფეხური სკოლაში, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველად იწყება მაშინ, როდესაც მოსწავლე პირველად გადმოსცემს ზეპირად რომელიმე ნაწარმოების შინაარსს. მართალია, იგი ამ დროს აზრობრივად მთლიანად დამოკიდებულია ნაწარმოებზე, მაგრამ დამოუკიდებლობა უნდა გამოამყდვანოს ავტორის აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემაში. რა თქმა უნდა, მთლიანად ვერც

საუბედუროდ, ეს მარტო დაწყებით კლასებში არ ხდება. ზოგჯერ უფროსი ასაკის მოსწავლეებიც იყენებენ ამ „მეთოდს“. გასაკვირი აღარაა, რომ ასეთი საშუალო განათლების ახალგაზრდა ზეპირად ორ სიტყვას ვერ აბამს და არც წერაში უქნია ღმერთს. გამართული ზეპირი მეტყველებისათვის საჭიროა დამოუკიდებელი, სწრაფი აზროვნების უნარი, რისი შექმნაც ერთბაშად შეუძლებელია. ზეპირი მეტყველების კულტურას მაშინ ეყრება საფუძველი, როცა მოსწავლე პირველად იწყებს ნაწარმოების შინაარსის გადმოცემას; თუ კი იგი რამდენჯერმე გულდასმით წაიკითხავს ტექსტს, ათვისებს, საფუძვლიანად გაიგებს ავტორის აზრს, დაბეჯითებით ივარჯიშებს ნაწარმოების შინაარსის მოცოლაში და მიიღწევს საკუთარი სიტყვებით მის გადმოცემას — პირველი საიმედო ნაბიჯი გადადგმულია: მოსწავლის მეხსიერებაში აღიბეჭდა ნაწარმოების ძირითადი აზრი და, რაც მთავარია, იგი გადმოსცა არა მთლიანად მწერლის სიტყვებითა და ფრაზებით, არამედ სხვა ნაწარმოებებიდან შექმნილი, აგრეთვე მოსმენილი, გაგონილი სიტყვებიც მოიშველია. საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანი დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, უპირველესად, სხვისი ნააზრვის ღრმა და ყოველმხრივი გაგების შედეგად იძენს. ...მოსწავლეს უკვე ახსოვს ორი, სამი, ოთხი და რამდენიმე ნაწარმოების შინაარსი, ძირითადი აზრი. ნებით თუ მსჯელობა კამათის უმთავრესი და ლამაზი ხერხია.

უნებლიეთ დამახსოვრებული აზრებიდან მის გონებაში ზოგი ერთმანეთს უპირისპირდება, ზოგი ერთმანეთს ავსებს. ეს პროცესი მოსწავლეს უღვივებს განსჯის სურვილს, რასაც მოსდევს ახალი, საკუთარი აზრის შექმნის ინტერესი. შესაძლოა, პირველად, მეორედ და მესამედ ეს საკუთარი აზრი ძალიან უმნიშვნელო და მცდარი იყოს, მაგრამ, რაც მთავარია, მოსწავლეს გაუჩნდა დამოუკიდებელი აზრის ძიების სურვილი; მას აქვს სიტყვების გარკვეული მარაგი და გადმოსაცემი შინაარსის ხასიათის მიხედვით იყენებს მას. იგი თანდათან მიიკვლევს გზას. კითხულობს წიგნებს, ერთმანეთს ადარებს ერთ რომელიმე საკითხზე რამდენიმე შეხედულებას, აქტიურად მონაწილეობს ამხანაგებთან კამათში, გულისყურით უსმენს სხვას და დაკვირვებით სინჯავს სათქმელს; ცდილობს — ყველა საგანს თუ მოვლენას თავისი სახელი დაარქვას, გაიაზროს წაკითხული თუ მოსმენილი და დალაგებული, ჩამოყალიბებული სახით გადასცეს მსმენელს.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხდება მისი განათლებისა და გონებრივი პორიზონტის შესაბამისად; მაგრამ ცხადია, რომ ასეთ მომენტში მყარი საფუძველი ეყრება მომავალ დამოუკიდებელ აზროვნებას და ზეპირი მეტყველების მაღალ კულტურას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კამათის როლი ზეპირი მეტყველების, სწრაფი აზროვნების უნარის გამომუშავებაში. ნურავინ იფიქრებს, რომ მოსწავლეებს არაფერი ჰქონდეთ ერთმანეთთან საკამათო. იქნებ ამ მცდარი მოსაზრების გამო იკავებენ ისინი თავს წლების განმავლობაში და „მშვიდად“ გადადიან კლასიდან კლასში?!

ძველმა ბერძნებმა მეცნიერულად ახსნეს და დაადგინეს პოლემიკის (კამათის) შეუცვლელი მნიშვნელობა ქვეყნის აზრის დასადგენად.

მოსწავლეს არ უნდა აინტერესებდეს კამათში მოჩვენებითი გამარჯვება. პოლემიკა ყოველთვის მართალი აზრის მისაკვლევად უნდა იყოს გამოიზნული.

მოკამათებები მოვალენი არიან პატივი სცენ ერთმანეთს, დააფასონ ერთმანეთის აზრი, როგორც მცდარიც არ უნდა იყოს იგი.

მეტყველების ხელოვნების სიყვარულს და მისი დაუფლების ინტერესს

რეს ძალაუნებურ დ უქრობს მოსწავლეებს ზოგიერთი უფროსი...

ამ ზაფხულს, შავი ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთ პიონერულ ბანაკში მოვხვდი. დიდ ფაციფუტში იყო ბანაკი, განსაკუთრებით მოზრდილი პიონერები აქტიურობდნენ. წერდნენ, ერთმანეთს ხმამაღლა კარნახობდნენ, ლექსებს იზეპირებდნენ, მოკლედ, — რომ იტყვიან, დიდ ამბავში იყვნენ. პიონერხელმძღვანელმა მოსვენება აღარ მისცა ერთ გოგონას, — ბარე ხუთჯერ წააკითხა სიტყვა.

— რისთვის ემზადებით-მეთქი, — ვკითხე პიონერხელმძღვანელს.

მეზობელ ბანაკს შეხვედრას ვუწყობთო.

ორიოდე საათის შემდეგ შეხვედრაც დაიწყო. მასპინძლებმა ჯერ ლექსები თქვეს, შემდეგ სიტყვებით გამოხსულელთა ჯერი დადგა. გამოვიდნენ, მაგრამ ვაი იმ გამოსვლას — ერთგვერდიან მისალმებას წვალებით, ენის ბორძიკითა და ასოების ამოთვლით კითხულობდნენ. ესენი გახლდათ მეექვსე კლასის მოსწავლეები. ყველა სიტყვას აშკარად ეტყობოდა ერთი ხელი; რამდენადაც მივხვდი, ეს პიონერხელმძღვანელის ხელი უნდა ყოფილიყო; მრავალი ფრაზა და წინადადება ზუსტად ერთნაირად განმეორდა სხვადასხვა პიონერის მისალმებაში. მასპინძლები რომ მორჩნენ, სტუმრებმა დაიწყეს. მათგან შვიდიოდე პიონერმა წაიკითხა მისალმება. აქაც აშკარად „ერთი ხელი“ ჩანდა. არა მგონია, სტუმართაგან ან მასპინძელთაგან, ერთ რომელიმე პიონერს მაინც, თუ რამდენიმეს არა, უკეთესი სიტყვის თქმა არ შეეძლო ზეპირად; მაგრამ, როგორც იტყვიან: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

რა მისცა იმ საღამომ შეხვედრაში

მონაწილე პიონერებს? არაფერი, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს მიესალმენ და დაემშვიდობებენ.

ასე კარგავს მოსწავლე ზეპირი, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს. ეს მარტო ზაფხულობით და პიონერთა ბანაკში როდი ხდება; სტაკის ხელით დაწერილ სტრიქონებში მოსწავლის კირკიტი ჩვენი სკოლების ყოველდღიურ მუშაობაში საკმაოდ ფეხმოკიდებული ტრადიცია გახლავთ. ზოგჯერ, სცენაზე გამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, მიუზნინებენ ხოლმე მოსწავლეს ტექსტს. იგი თვალის გადავლებასაც ვერ ასწრებს და თამამად გამოდის აუდიტორიის წინაშე, თვითონაც წვალობს და მსმენელსაც ხასიათს უფუჭებს. ამ ტრადიციაზე გაზრდილი მოსწავლისათვის მუდამ უცხო ხილია მჭერმეტყველება. იგი უბრალო, საყოფაცხოვრებო ამბებზე საუბარშიც წითლდება, იბნევა და კანტიკუნტად ამოთქვამს უმისამართო, არაზუსტ სიტყვას.

მოსწავლეს, დროთა ვითარებაში, უფრო და უფრო უნდა უღვივებოდეს ინტერესი მჭერმეტყველებისადმი. ინტერესს რომ ვამბობთ, — მხოლოდ ცარიელ სურვილს და ოცნებას არ ვგულისხმობთ. ეს ინტერესი თავისთავად აიძულებს მას გულმოდგინედ იმეცადინოს, სიყვარულით ქექოს წიგნები. ასეთი გზა კი მიდის ღრმა და მრავალმხრივი განათლებისაკენ, რაც უშუალოდ განაპირობებს სრულყოფილი ზეპირი აზროვნების უნარს. საკამათო საკითხის დამაჯერებელი ცოდნა რომ გამოამყდავნო, შენი შეხედულება რომ დაასაბუთო — კარგად უნდა იცოდე ამ საკითხის მონათესავე საკითხებიც.

ფილიპე ბერიძე



თუ გსურს სავარცხელს ან თმის ჯაგრის თებო და ქუჭყვი მოაცილო, წყალში ცოტაოდენი ნიშადურის სპირტი და ერთი ფიცქვი მარილი შეურიე და ისე გარცხე.

კანს თუ დაიწვავთ, დამწვარ ადგილზე კვერცხის ცილაში ამოსვრილი ნაჭერი დაიდევით — ტკივილიც დაგვიამდებათ და ჭრილობაც მალე შეხორცდება.

გინდათ დანა იოლოდ გაიღესოს? მაშინ იგი ნახევარ საათს მარილწყალში გააჩერეთ და მერე უმალ გაიღესება.

გაუთოვების წინ თეთრეულს თუ ცხელი წყლით დანამავთ, გაუთოვება უფრო გაგიადვილდებათ.

სიცვივმ და ქარმა ხელ-პირის კანი თუ გაგიუხეშათ და დაგიხეთქათ — წაისვით ზედ ყავის ქაფი და კანი ხავერდით რბილი გახდება.



ბოთლს თავი არ მოხადო!



აჩვენე ამხანაგებს ცარიელი ბოთლი, რომელსაც საცობი ახურავს. ამ საცობში შიგნიდან შერჭობილია მოკაუჭებული ქინძისთავი, კაუჭზე კი ძაფია ჩამოცმული, რომელზედაც ფოლაქია მიბმული.

— მე ისე გადავჭრი ამ ძაფს, რომ ბოთლს თავს არ მოვხდი, — ეტყვი ამხანაგებს. დე, შენმა ამხანაგებმა კარგად დალუქონ საცობი, რომ ეჭვი არ შეეპართ შენს სიმართლეს.

აიღე ბოთლი და გადი მეორე ოთახში, გამადიდებელი შუშით ისე მიუმარჯვე მზის სხივები ბოთლს, რომ ძაფი ფოკუსში მოექცეს, — ის უცებ გაწყდება. უმჯობესია ძაფი შავი იყოს (ის უკეთ ნთქავს სხივებს), ბოთლი კი — თეთრი.

შენი ამხანაგები გაოცდებიან და გაუძნელდებათ მიხვედრა, თუ როგორ გადასჭერი ძაფი ისე, რომ ბოთლისთვის თავი არ მოგიხდია.

ფანქრის ვერცხე

ნახევრად გახსნილი ჯიბის დანა ჩაარჭე ფანქარში. სიმძიმის ცენტრი საყრდენ წერტილზე დაბლაა, რის გამოც კონსტრუქცია მყარი წონასწორობის მდგომარეობაშია.

იმისდა მიხედვით, თუ რა ზომაზე გახსნი დანას, — ფანქარი უფრო მეტად ან ნაკლებად იქნება დახრილი. როდესაც მთელი სისტემის სიმძიმის ცენტრი ფანქრის ღერძის გაგრძელებაზე გაივლის, — ფანქარი ვერტიკალურ მდგომარეობაში იქნება.



წყლის წვეთების დოლი

წყალი რომ დააწვეთო ქალაღდზე, ქალაღდი მას შეიწოვს. თუ ქალაღდს ერბოს წაუსვამ ან სანთელზე გამურავ, მაშინ წვეთი აგორდება ქალაღდზე. სითხის ამ თვისებით ვისარგებლოთ ერთი საინტერესო თამაშობის მოსაწყობად.

აიღე გრძელი და სქელი ქალაღდის ზოლი (შეგიძლია რამდენიმე ნაჭერი გადააწებო ერთმანეთს) და კარგად გამურე სანთელზე. მაგიდაზე დააწყე სხვადასხვა სიდიდის რამდენიმე ქვესაღომში, თანმიმდევრობით — უფრო და უფრო დაბლები; ამ ქვესაღომებს ქინძისთავებით მიაკარი ქალაღდის ზოლი ისე, რომ იგი ტალღისებურად იყოს ჩაზნექილ-ამოზნექილი; რაც უფრო შორს იქნება ქალაღდი პირველი (ყველაზე მაღალი) ქვესაღომიდან, მით უფრო მეტად უნდა იყოს იგი ჩაზნექილ-ამოზნექილი. ზევიდან გამოუშვი წყლის წვეთი — ის დაექანება, ახტება პირველ „ბორცვზე“, იქიდან კვლავ გადაექანება, ახლა მეორე სიმაღლეს აიღებს და ასე ჩავა ბოლომდე; მას მიჰყვება მეორე, მესამე... წვეთები გადაირბენ ამ „მთებს“ და თუფშუე ამოყოფენ თავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს წვეთებს დოლი ჰქონდეთ გამართული — აბა, რომელი გაგასწრებთ.



წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების
წიგნების

ფიციელ ბრძოლაში ხმლით დაჩენილი მეომარი სიკვდილს ებრძოდა... დედაკაცები ცრემლებად იღვრებოდნენ, მამაკაცები უხმოდ იდგნენ და თანაგრძნობით დაჰყურებდნენ მომაკვდავს.

უცებ, გაისმა ცხენის ფლოქვთა თქარათქური. მხედარი კარავთან ჩამოქვეითდა და დაჭრილი მეგობრის სარეცელს მივარდა; მეკრდთან სათუთად მიეხუტებია თეთრ ქსოვიდში გამობხვეული მუქ-ყვიითელი, შედედებული წვეთები, რომელთაც უცნაური, მეტად სასიამოვნო სუნი ასლიოდათ. ეს უცნაური წვეთები, რომლებიც მხედარმა მიუვალი მთებიდან ჩამოიტანა, მეომარს სისხლიან ჭრილობებზე წაუსვეს. ჭრილობები მოშუშდა. მეომარი გადარჩა...

მთიელი მოხუცები ათასგვარ საინტერესო ისტორიას ჰყვებიან ფანტასტიკურ მალამოზე, რომელსაც „მუმია“-ს ეძახიან. ეს მალამო, როგორც შუა საუკუნეების გამოჩენილი მედიკოსები ამტკიცებდნენ, თავისი უებარი სამკურნალო თვისებებით სჯობს „სიცოცხლის ფესვს“ — ეენშენს.

რამდენი აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაუდენიათ გასულ საუკუნეებში — მუმიოს ხელში ჩაგდების მიზნით! მეკვლელობა ქუჩის კუთხეებში, თავდასხმები მთებიდან მომავალ ქარავანზე და იმ ადგილებზე, სადაც მუმია საიდუმლოდ ინახებოდა!..

მრავალ წელს ეძებდა მუმიოს დასავლეთ პამირ-ალაის მთებში უზბეკი მეცნიერი ხოჯა რასულევი. და მხოლოდ შარშან, აგვისტოში, ზერავშანის ქედის ერთ ნაპრაღში იპოვა მან შედედებული შავი წვეთები, — სწორედ ისეთი, როგორც აღწერენ მას მთიელები უძველეს ლეგენდებში... მეცნიერს მხოლოდ რამდენიმე გრამი მუმია ჰქონდა ცდების ჩასატარებლად.

ყურადღებით შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ნაპოვნი წვეთები ჰგავს ფესვსა-ცმლის საწმენდ ზუმბურხეთს; ქიმიკოსებმა და გეოლოგებმა დაასკვნეს, რომ ნაპოვნი წვეთები სრულიად უცნობი ნივთიერებაა; მისი შედგენილობა ძალზე რთულია, ხოლო გეოლოგიური წარმოშობა — საიდუმლოებით მოცული.

მუმიათი ექსპერიმენტი ჩაატარეს კურდღლებზე. საიდუმლოებით მოცულმა მალამომ გაამართლა ლეგენდები, — 10 დღეში

სრულიად „გააახლა“ კურდღლის დამსხვრეული ფეხი.

საჭირო იყო ექსპერიმენტების გაგრძელება, მაგრამ ცოტა, ძალზე ცოტა იპოვა ეს უძვირფასესი მალამო ხოჯა რასულევმა!

მიმდინარე წელს, ზერავშანის ქედის ცენტრალურ ნაწილში ნადირობდა პეჯიკენტელი მასწავლებელი — უსმან ჯალილოვი. ნადირობისას შემოაღამდა და ღამის გასათევად მთებში დარჩა. დილით მან კლდის ნაპრაღში შენიშნა კუპრივით შავი, უცნაური მასა. „ნუთუ მუმიაა?!“ — გაიფიქრა მონადირემ და მაშინვე პეჯიკენტისაკენ გასწია. ქალაქში ჩასვლისთანავე მან ეს ამბავი ადგილობრივ ხელისუფლებს შეატყობინა. ექსპედიცია, რომელსაც ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივ შენაერთთა ქიმიის ლაბორატორიის გამგე — სერგო დავითიანი ხელმძღვანელობდა — მთებში გაჩნდა. ექსპედიციას მეგზურობდა უსმან ჯალილოვი.

...სამიათასი მეტრი სიმაღლე ზღვის დონიდან... უძირო და უკიდევანო სილურჯე... ცივი ქარი... სიბი კლდეები... და ნაპრაღებში — კუპრისებური, შედედებული, მღვენთავი შავი წვეთები, — მუმია! განა ცოტა, — ბლომად — რამდენიც გინდა...

აი, დევს ლაბორატორიის გამგის მაგიდაზე სრულიად შეუცნობი ნივთიერება. მისი შედგენილობა, წარმოშობის ისტორია — ჯერჯერობით არავინ არ იცის! წინასწარი მონაცემებით, მუმია შეიცავს: 50 პროცენტ ნახშირბადს, 10 პროცენტამდე წყალბადს, 20-ზე მეტ მიკროელემენტს... და კიდევ იმას, რაც ამ ნივთიერებას აძლევს სასწაულებრივ ძალას, რამაც მას ფანტასტიკური ღირებვა მოუტანა.

ორმოცდაათ კილოგრამამდე მუმია ახლა მეცნიერების განკარგულებაში. აქედან — ნაწილი დარჩება ლაბორატორიაში, შეისწავლიან ქიმიკოსები, ხოლო ნაწილს ტაჯიკი მეცნიერები შესასწავლად გაგზავნიან სხვა ინსტიტუტებში.

რომელ ავადმყოფობას ჰკურნავს ეს უძველესი მალამო? გამოადგებათ თუ არა იგი ქირურგებს, ონკოლოგებს, თერაპევტებს? ვინ იცის — იქნებ იგი ამჟამად უკურნებლად მიჩნეულ სნებათა უებარი წამალია?!

ღიახ, ჯერ არ ვიცით, მაგრამ სულ მალე გვეცოდინება!

„ნედელია“.



უ. გლეჯია: არახოდეს არ გეცოდინება საქმარისადა, თუ არ გეცოდინება საქმარისზე მეტად.

პოლხარამ: არაფრად არ ვარგა ეს, ვინც მხოლოდ თავის თავისთვის ვარგა.

მ. მონხაქია: მოკრძალება უნდა დახდლით, მაგრამ არახოდეს არ უნდა დაჰკარგო.

კ. რიხარჯიანი: საკუთარი ნაკლოვანებები ზურგზე მოკიდებუ-

ლი ჩანთაა, რომელსაც ვერ ხედავ.

კლინიუსი: საყვედურის მშვიდად მოხმენა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ხშირად ისმენს ქებას.



როგორ შეძლო ძველმა რომაელმა ხელოსანმა, თავისი პრიმიტიული ტექნიკით, მისი მიღება?

ეს—ჯერჯერობით გამოცანას წარმოადგენს.


პარსკვლავთმრიცხველის „ღანაშაული“

ამას წინათ, საუდის არაბეთის მეფის — იბნ საუდის თვითმფრინავმა ალბებში კატასტროფა განიცადა. მაშინათვე, იბნ საუდის ბრძანებით, მეფის კარის ვარსკვლავთმრიცხველს — საიდ მანზის საპატიმროში უკრეს თავი. ამ საბრალო ვარსკვლავთმრიცხველს ბრალად ედებოდა თავისი მოვალეობისადმი დაუდევრობა — წინასწარ არ გამოიცნო, რომ მეფის თვითმფრინავს საფრთხე ელოდა.

სასამართლომ განიხილა საიდ მანზის საქმე და ასეთი, „სოლომონ ბრძენისებური“, გადაწყვეტილება მიიღო: ვარსკვლავთმრიცხველი უღანაშაულა, რადგან იგი მოვალეა, — მხოლოდ ის უბედური შემთხვევები გამოიცნოს წინასწარ, რომლებიც არაბეთის ფარგლებში მოხდება.

თურხა ააბაგასაც უნდათ გართობა

ერთ-ერთმა ფრანგულმა სავაჭრო ფირმამ დაიწყო სათამაშოების დამზადება... ცხოველებისათვის. იგი თვეში უშვებს 100.000 თავგს (რათქმა უნდა, ხელოვნურს) კატების გასართობად...



ჰეპა-ქუხილი შეაკეთით

ფრანკფურტის ზოოპარკში კარგა ხანია მიეჩვივნენ ტროპიკულ ჰეპა-ქუხილს; დილის ცხრასა და საღამოს რვა საათზე იქაურობას აყრუებს ფირზე ჩაწერილი ქუხილი, სპეციალურ ონკანებიდან მოჩქევს ცხელი ჰაე-

რით გაედენთილი წყალი. ხელოვნური, ტროპიკული ჰეპა-ქუხილი ზოოპარკში ნიანგების საამებლად გაისმის, — დაე, მათ აქაც ისე იგრძნონ თავი, როგორც საკუთარ სამშობლოში.



ციყვის მინიუ

ვისაც ჰგონია, რომ ციყვი მხოლოდ თხილსა და სოკოებს მიირთმევს, ძალიან ცდება.

მონადირეებს ციყვის კუჭში არაერთხელ უნახავთ ჩიტის, ხვლიკის, მუხლუხის, ჭიანჭველების, კელას ნარჩენები; ზოგჯერ, ფრინველის კვერცხები და ირმის რქის ნამტვრევებიც აღმოუჩენიათ.

დედაიშვის მოსახლეობა

დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებით (დემოგრაფია სტატისტიკის ის დარგია, რომელიც მოსახლეობის რაოდენობას სწავლობს), დედამიწის ზურგზე 1000 წელს ცხოვრობდა 275 მილიონი ადამიანი, 1500 წელს — 446 მილიონი, 1800 წელს — 98 მილიონი, 1900 წელს — 1.608 მილიონი, 1960 წელს — 3.000 მილიონი.

მეცნიერთა გამოთვლით, მას შემდეგ, რაც კაცობრიობა გაჩნდა, დედამიწაზე იცხოვრა 77 მილიარდმა ადამიანმა.

გარეკანის 1-ლ გვერდზე — „ზაბუა და შვილიშვილი“, ნახ. **კვიპაუ ცუსძიკიძისა**

ზინდა თუ არა, — გაბაცინებას

არაბეთში აქა-იქ ხარობს ერთგვარი მცენარე, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „სიცილის ხეს“ ეძახიან. იგი ისხამს მუხუდოს მარცვლისოდენა შავ ნაყოფს. თუ ამ ნაყოფს შეჭამ, მაშინვე სიცილი აგიტყდება და მთელ ნახევარ საათს იციენებ.

ეს — ჯარჯარობით გამოცანაა

ძველი რომაელი ისტორიკოსი პლუტარქე (ცხოვრობდა დაახლოებით 26-126 წლებში) მოგვითხრობს ერთ ოსტატზე, რომელმაც იმპერატორ ტიბერის უცნაური ლითონის გვირგვინი მიართვა. ეს ლითონი გარეგნულად ვერცხლსა ჰგავდა, მაგრამ ვერცხლზე გაცილებით მსუბუქი იყო. შემთხვევით, ტიბერის გვირგვინი ხელიდან გაუვარდა, იატაკზე დაეცა და მოილუნა. „სად იშოვე ეს ლითონი?“ — ჰკითხა იმპერატორმა ოსტატს. „თიხისაგან დავამზადე“, — მიუგო მან. ტიბერემ ბრძანა, ოსტატისათვის თავი მოეკვეთათ, ხოლო მისი სახელოსნო დაენგრიათ. იმპერატორს შეეშინდა, ახალმა ლითონმა ვერცხლი არ გააუფასუროსო.

გავიდა საუკუნეები. დიდი სიძნელების გადალახვის შემდეგ, მე-19 საუკუნეში, მეცალურგებმა ისწავლეს ალუმინის მიღება. ალუმინი საოცრად ჰგავს პლუტარქეს მიერ აღწერილ ლითონს. მაგრამ, ის ლითონი თუ მართლა ალუმინი იყო,

რედაქტორი **მუხრან მახაძე** პარიანი
 სარედაქციო კოლეგია: **შილინე ბერიძე, როსტომ ელანიძე, ივანე ვარდოსანიძე, კვიციანიანი, ჯუანხეი კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ჯუარაბ ლეჟაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, ბაიოზ ფოსციშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი**



ჩვენი ჟურნალის მესხვენიერები დაბეჭდილი ქართული ხალხური ზღაპარი „ბრძენი კუ“ ოცდაათზე მეტმა ნორჩმა მხატვარმა დაასურათა.

ყველა ნახატი მებ-ნაკლებად კარგი იყო. გამოსაქვეყნებლად 7 ნახატი შევარჩიეთ.

შენი ნახატი რომ არ დაიგებდა,—აჲან გული არ დაგწყვიტოს; სხვა ზღაპრების დასურათების დროს,—იმედია შენც გაიგებარჯვებ.

აშუბრად დასახატად გთავაზობთ იგავს „შოშია“.



შო შ ი ა

(იგავი)

შოშია ზის ლობეზე.

ხან გაახელს თვალს, •ხან—დახუჭავს...

გაალო თვალი,—ხედავს კატას.

დახუჭა თვალი, — კატა არაა, გაქრა.

— ააა! კატა ჩემზე ყოფილა დამოკიდებული! მინდა—არის კატა, მინდა და—არ იქნება!

— ოოო! ჩემზე ჭკვიანი ფრინველი მთელი ამ მხარეში არ არის: თვალს გაეახელ — კატა მიდგას თვალწინ, თვალს დახუჭავ—კატა გაქრა.

— აჰაა! ახლა კი მივხვდი...

— მოდი, ერთხელ კიდევ გვაქრობ კატასო,— გაიფიქრა შოშიამ და თვალი დახუჭა.

ამ დროს, ეცა კატა და შენს შოშიას წირვა გამოუყვანა.


ჩაწერა ვლადიმერ გვიშინაძე



მასხანაზ ბაცაცაშვილი,
სიღნაღის რაიონის, არბოშიკის
საზ. სკოლის VIII კლასის მოს-
წავლენ.

ბ 8 / 39

ბაღის კობაშიძე,
თბილისის 24-ე საშ. სკოლის
მოსწავლე.



ნოდარ ბიძინაშვილი
თელავის საშ. სკოლის IV კლასის
მოსწავლე.



ნანა შაშინაშვილი,
ქ. დუშეთის 1-ლი საშ. სკოლის
II კლასის მოსწავლე.

ლაშრა მილდისოვა,
აღიანის საშ. სკოლის VII კლასის
მოსწავლე.



ბადრი ბანიჩილაძე,
თბილისის მე-4 საშ. სკოლის VII
კლასის მოსწავლე.